# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 30 ივლისი 2007 №173 (3096) ფასი 50 თეთრი

# ალმასკომი მოდის: დღეს ლიგები და კალენდარი დამტკიცდება






# დავით მუჯირს პლანეტისკენ ექაჩებიან

## მწვრთნელთან ურთიერთობაწამხდარ ქართველს სატურნი ეპატიჟება

# ბო-დი-ში!

## ყაზახებმა, გვაპატიეთო





# ალმასკომი მოდის: დღეს ლიგები და კალენდარი დამტკიცდება

**დღეს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართება.

როგორც ვწერდით, სხდომა პარასკევს უნდა შემდგარიყო, მაგრამ იქ ისეთი საკითხებია გასარკვევი, გადადების მიზეზი არ უნდა გაგვიკვირდეს.

კერძოდ, 2007-2008 წლების ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისა და თასის გათამაშების კალენდარი, ასევე დამტკიცდება სადისციპლინო რეგლამენტში შესული ცვლილებებიც. განხილული იქნება, რომელი კლუბები მიიღებენ მონაწილეობას უმაღლეს და პირველ ლიგებში — რას იზამ, ასეთ დღეში არიან ქართული გუნდები, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირაც არაა დარჩენილი და ლიგები ჯერაც დაუკომპლექტებელია. ამიტომაც გადაიდო ეს სხდომა, რომელიც დღეს 12 საათზე დაიწყება.

**ილია ნანობაშვილი**

# ოლიმპმა ფერეირა გაუშვა და გელაშვილი მოჰყავს



**რუსთაველებმა** პორტუგალიელი თავდამსხმელი დანი ფერეირა როდრიგესი დაიწუნეს და რამდენიმე დღის წინ შინ გაისტუმრეს.

ეს ლეგიონერი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა საქართველოში და გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, თუმცა, როგორც ჩანს, მწვრთნელებს თავი ვერ მოაწონა...

და ახალი ამბავიც: შესაძლოა, „ოლიმპში" აღმოჩნდეს ნიკა გელაშვილი, რომელიც ბოლო ხანებში ბელგიაში იმყოფებოდა, თუმცა იქ არაფერი გამოუვიდა.

როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპსა" და ექსვიტელს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.



**ნუგზარი ლოლაძე**

# ცხინვალის ჰამლეტობა მორჩა? ყოფნა-არყოფნა ყოფნაზეა

**ამ ცოტა** ხანში იმდენი დაიწერა „ცხინვალის" ყოფნა-არყოფნაზე, მკითხველი უთუოდ გაკვირდებოდა. არადა, რა არის ამდენი საჭოჭმანო და გასარკვევი, ამაზე ჩვენც გვიჭირს პასუხის გაცემა. მივალთ, ვნახავთ, რომ გუნდი ვარჯიშობს, ტესტ-მატჩებს მართავს, ფეხბურთელები მიდი-მოდიან, კლუბის ხელმძღვანელები კი კომენტარისგან თავს იკავებენ.

ბოლო ცნობებით, სამაჩაბლოს გუნდის უმაღლეს ლიგაში თამაში გადაწყვეტილია, თუმცა გადაჭრით მაინც ვერაფერს ამბობენ.

გუნდისთვის, რომელმაც უმაღლესში უნდა ითამაშოს, „სპარტაკი" დაურქმევიათ. როცა ვიკითხეთ, რატომ „სპარტაკი" და არა „ცხინვალი", პასუხად მივიღეთ, საბჭოეთის დროიდან ცხინვალის გუნდს „სპარტაკი" ერქვა და სახელიც დავუბრუნეთო.

შაბათს „სპარტაკი" „ოლიმპს" ამხანაგურად გაეჯიბრა და მინიმალური სხვაობით, 0:1 დამარცხდა. ცხინვალელთა კარი რევაზ გეწაძემ საჯარიმოთი დალაშქრა. გოლი მართლაც ლამაზი გამოვიდა, ბურთმა ცოცხალ კედელს გადაუარა, ძელს მოხვდა და ისე შევარდა ბადეში.

*სპარტაკი: ჯინჭარაძე, პარამონოვი, აფშილავა, ხაჭაპერაძე, ხუმარაშვილი, გავნიძე, გოგოხია, სოხელია, გაგუა, ხიდეშელი, გოგოლაძე.*

*მეორე ნახევარში მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა შეცვლაზე ათამაშა: ქვილითაია, ივანიშვილი, დარბაიძე, კობაიძე, ძარია, ჯანელიძე, ჭელიძე.*

*ოლიმპი: მ. ალავიძე, ორბელაძე, აკუასაგა, სილაგაძე (სებისკვერაძე 46), მაზვილაძე, კოშკაძე, ჟივკოვიჩი (კაკულია 55), კახელიშვილი, გეწაძე, მასუანგა (ჯიქია 46), დვალი.*

**ნუგზარი ლოლაძე**

# რუსეთმა საქართველოს მეორე ჯერზე სძლია

**მოსკოვთან** მდებარე ქალაქ ბრონიცში რუსეთისა და საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებები მეორედ გაეჯიბრნენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ამჯერად ჩრდილოელებმა იძალეს და წინა მატჩში განცდილი მარცხისთვის (1:2) რევანში აიღეს — 3:2.



ჰერბერტ ცანკერი

რუსებმა შეხვედრის დასაწყისშივე შეუტიეს და უკვე მე-15 წუთზე 2:0 იგებდნენ — ჯერ ობუხოვმა გაიტანა, შემდეგ კი ბარტნიკმა პენალტი ზუსტად დაარტყა.

ქართველმა ჭაბუკებმა მდგომარეობა პირველივე ტაიმში გამოასწორეს — გიორგი ვაშაკიძემ და ჯანიკო ანანიძემ წონასწორობა აღადგინეს.

შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთი ბურთი გავიდა და ისიც სტუმართა კარში, რუსებს შეცვლაზე შესულმა მირონოვმა მოუტანა გამარჯვება — 3:2.

გუნდებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*რუსეთი: ლიამინი, ჭეჟია, პაშინი, ბალტემიროვი, ნიკიტინი, ბარტნიკი (მირონოვი 40), კირეევი, ხადიროვი (მისჩინსკი 40), ნუროვი, პეტროსიანი, ობუხოვი.*

*საქართველო: ნადირაძე, აშუკელი, მირცხულავა (ვაბაშვილი 73), კვეკვესკირი, ქვარცხავა, ჩელებაძე (ელიზბარაშვილი 54), მამულაძე, ძლამიძე (ქვარაია 43), ანანიძე, შეყილაძე (შარაშენიძე 60), ვაშაკიძე (კუხალეიშვილი 70).*

*1:0 ობუხოვი (10), 2:0 ბარტნიკი (15პ), 2:1 ვაშაკიძე (24), 2:2 ანანიძე (28), 3:2 მირონოვი (57)*

აღსანიშნავია, რომ 16-წლამდელთა ნაკრები ჰერბერტ ცანკერმა პირველად შეკრიბა და ეს მინი-ტურნირი მათთვის სადებიუტო იყო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვიტელები ყირიმში კარგად ვარჯიშობენ

**მესამე** ყირიმული მატჩი გამართა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ". ვეტერინარებს „ჩერნიმორსკი ნეფტიგაზთან" სპარინგი ჩაეშალათ და ამხანაგურად „სიმფეროპოლ 2"-ს გაეჯიბრნენ.



ნესტორ მუმლაძე

„ვიტ ჯორჯიამ" მთელი მატჩი დამაჯერებლად ჩაატარა და 2:0 მოიგო. პირველ ტაიმში ზაზა სახოკიამ ორი გიორგის, დათუნაიშვილისა და ბერიაშვილის დაწყებული კომბინაცია დაასრულა. 86-ე წუთზე კი მცველების ამოტანილ ბურთს ლუკა რაზმაძე დაუხვდა და 2:0.

„ვიტ ჯორჯიამ" ამ მატჩში რამდენიმე ტაქტიკური ვარიანტი დაამუშავა. ნესტორ მუმლაძემ პირველ ტაიმში გუნდი 4-3-3 სქემით ათამაშა, მეორეში კი შეცვლებს მიმართა და 3-5-2-ზე გადააწყო. ახალ ამპლუაში, მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა თავდამსხმელმა ვასილ ლუჭაშვილმა.

„ვიტ ჯორჯიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი (ინჯგია 46), დ. ლომაია, ა. კვახაძე, რაზმაძე (მაისაშვილი 86), ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი (გ. მელქაძე 86), ლუჭაშვილი, სახოკია (ლიპარტია 55), კლიმიაშვილი, ბერიაშვილი (ი. კიკნაძე 46).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კახა კალაძე: მინდა, ყველაფერი მოვიგო!



მილანელები „მილანელოზე"

## რა თასი აკლია კოლექციას?

**კახა კალაძემ** „მილან ჩანელთან" პატარა ინტერვიუში თქვა, შარშანდელთან შედარებაც არ არის, წარმოუდგენლად სხვანაირი გრძნობით ველოდები სეზონის დაწყებასო.

„შარშან ამ დროს ტრავმა მქონდა, ახლა კი შემართული ვარ. მიხარია, რომ „მილანის" ყველა ფეხბურთელი ჯანზეა და ტიტულების მოპოვების სურვილი არ განელებიათ. ჩვენ ყოველთვის მეტი და მეტი გვინდა" — განაცხადა კალაძემ.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა განსაკუთრებით ევროპის სუპერთასის საავგისტო მატჩს გაუსვა ხაზი — მონაკოში, ესპანურ „სევილიასთან" მატჩს მოუთმენლად ველოდებიო.

და ერთიც: „ჩემი საკლუბო ტიტულების კომპლექტს საკონტინენტთაშორისო თასი აკლია, ასე რომ... მინდა, ყველაფერი მოვიგო!" — ამბობს კახა კალაძე.

**ილია ნანობაშვილი**

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# მო კუშლა

ეს გელური სიტყვებია. მო კუშლა — საკრივო ხალათზე აწერია ერთ მოკრივე გოგოს, რომელმაც ამ სიტყვების მნიშვნელობა არც იცის. ცნობილი ფილმია — „გოგო მილიონ დოლარად“. კლინტ ისტვუდი, საკრივო დარბაზი, გოგო, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდეს და მეტოქის ვერაგობის წყალობით ინვალიდი ხდება და თავის მოკვლა სურს.

მხოლოდ სიკვდილის წინ შეიტყობს, რომ მო კუშლა — ჩემს ერთადერთს, განუმეორებელს ნიშნავს და რომ ხნიერ მწვრთნელს ის გაგიჟებამდე ჰყვარებია, გაუმხელად და უნამდვილესად.

მე მგონია, რომ ეს ფილმი ყველა სპორტსმენმა უნდა ნახოს. ისე, ყველა ადამიანმა, მაგრამ სპორტსმენებმა კი აუცილებლად. არა იმიტომ, რომ იქ სიყვარულსა და ტრაგედიაზეა მოთხრობილი, არამედ იმიტომ, რომ მიხვდეს, რა არის პროფესიულ სპორტში ყოფნა და როგორ უნდა შეაბიჯოს ადამიანმა იქ. რას ნიშნავს ბრძოლა და საერთოდ...

ოცდათერთმეტი წლის გოგო კრივის დარბაზში მიდის და მწვრთნელს ეუბნება, რომ მოკრივეობა სურს, თანაც ისე, რომ არაფერი იცის კრივისა. ერთ წელიწადში ეს გოგო უკვე ოსტატია, თუმცა მწვრთნელი ეუბნება, რომ ნამდვილი საშუალო მოკრივის მომზადებას ოთხი წელი სჭირდება. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს კინოა, ზღაპარია, ხელოვნებაა და ასე დაუსრულებლად, მაგრამ რამდენიმე მთავარ რალაცასთან ერთად ამ ფილმში ერთ-ერთი ისაა, რომ გოგო თავის ბრძოლებს რინგზე ასვლამდე იგებს, ის მანამდე, ჯერ კიდევ ვარჯიშისას იგებს ყველაფერს.

რატომ?

იმიტომ, რომ პროფესიული სპორტი მძიმე სამყაროა და იქ მხოლოდ ოსტატობა საკმარისი არ არის, გამარჯვებას ზოგჯერ ადამიანის ხასიათი და მისი გადაწყვეტილება უფრო მოიპოვებენ ხოლმე, ვიდრე მაინცდამაინც ოსტატობა. ხომ გახსოვთ, რა უქნეს ამერიკელმა სტუდენტებმა საბჭოთა ჰოკეის ვარსკვლავურ ნაკრებს 1980 წლის ოლიმპიადაზე?

რა, ოსტატობით ჯობდნენ? ტაქტიკით? არც ერთი ის ამერიკელი ჰოკეისტი მერე ვარსკვლავი არ გამხდარა.

მგონი, ეს ყველაფერი ფეხბურთის გამო გამახსენდა. ქართული გუნდების მიერ აგვისტოს ბარიერის განგრევის თაობაზე.

ხო უნდა მოხდეს.



# ზო — დი — ში!

**ყაზახურმა** „ასტანამ“ შეცდომა აღიარა და ქართულ მხარეს ბოდიშს უხდის დაუდევარი ქმედების გამო — ეს ინფორმაცია გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ქაჯაიამ დაგვიდასტურა.

ერთხელაც გავიხსენოთ, რა დააშავა „ასტანამ“: ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩის წინ ასტანელებმა დაბეჭდეს პროგრამა, რომელსაც ყდაზე საქართველოს დამახინჯებულ-დაპატარავებული რუკა ახატია — „ყაზახურ“ საქართველოს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და აჭარა ჰქონდა ჩამოჭრილი.

ეს სკანდალურ ამბავი გაზეთმა „სარბიელმა“ მაშინვე გააშუქა და საქმეშიც უმალ ჩაერთვნენ საქართველოს მთავრობა და ფეხბურთის ფედერაცია — საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყაზახეთში საპროტესტო ნოტა აფრინა, ფედერაციამ კი ყაზახ კოლეგებს და ფიფა-უეფას ამცნო ამ ყველაფრის თაობაზე.

და აი, ასტანელთა პასუხიც: „საფეხბურთო კლუბი „ასტანა“ ბოდიშს უხდის საქართველოს და ქართველ ხალხს მომხდარის გამო. ჩვენ, ფეხბურთელები, მწვრთნელები, ხელმძღვანელები ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ვწუხვართ მომხდარის გამო და იმედი გვაქვს, ამ ნაბიჯს არ ჩაგვითვლით ისე, თითქოს ჩვენ თქვენი შეურაცხყოფა გვსურდა“.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის უფროს ნინო ქაჯაიას თქმით, ყაზახურმა მხარემ განაცხადა, რომ მომხდარი არის ერთი კერძო სუბიექტის დაუდევრობის ბრალი და ეს არ გამოხატავს ოფიციალური ყაზახეთის პოზიციას. მათ ისიც დასძინეს, რომ დიდი იმედი აქვთ, ეს ყველაფერი უარყოფითად არ იმოქმედებს ყაზახეთ-საქართველოს ურთიერთობებზე.

რა სასიამოვნო გასახსენებელია, მაგრამ მაინც: „ასტანამ“ საქართველოს ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ ორრაუნდიან დუელში აჯობა (0:0, 3:0) და ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა.

**კახა შალამბერიძე**

# დინამო და საქართველო: ახალი გაკვეთილები რომან დობეშისთვის

27 წლის რომან დობეში „დინამომ“ სლოვაკური „ტრენჩინიდან“ გადაიყვანა. ჩეხმა მარცხენა მცველმა „ვადუცთან“ საუეფასთასო მატჩშიც ითამაშა, ახლა კი ტრავმა აწუხებს, აზერბაიჯანულ „სიმურგთან“ საკონტროლო მატჩისას დაშავდა და ჯერაც გაურკვეველია, გაემგზავრება თუ არა ლიხტენშტაინში საპასუხო შეხვედრისთვის. დობეშს დილმის ბაზაზე გავესაუბრეთ...



— ლეგიონერებიდან ყველაზე ბოლოს შეუერთდი თბილისის „დინამოს“. როგორ მიდის ადაპტაციის საქმე?

— მშვენივრად. აქაურობას ნელ-ნელა ვეგუები. რაც მთავარია, კარგ და მეგობრულ გუნდში მოვხვდი.

— როგორი წარმოგედგინა „დინამო“ და რა დაგხვდა აქ?

— რასაც ვფიქრობდი, იმაზე ძლიერია და ისიც ჩანს, რომ მეტის გაკეთება შეუძლია. ჯერ ხომ სეზონი არც დაწყებულა, „დინამოს“ მხოლოდ ერთი ოფიციალური შეხვედრა ჰქონდა.

— სლოვაკეთის ჩემპიონატში „დინამო“ დაახლოებით რომელ ადგილზე იქნებოდა?

— სლოვაკეთშიც და ჩეხეთშიც, ალბათ, ცხრილის პირველ ნახევარში.

— აქაურ ფეხბურთზე უკვე შეგექმნებოდა ზედაპირული წარმოდგენა...

— ჯერ ახალი ჩამოსული ვარ და ვერაფერს ვიტყვი. შესწავლის პროცესში ვარ.

— გუნდში ვის დაუმეგობრდი?

— მილოშ კრშკოს ადრეც ვიცნობდი. ახლა ვმეგობრობ ნედ ზელიჩთან, გიორგი მერებაშვილთან, დავით ოდიკაძესთან...

— დუშან უჰრინთან პირადი ნაცნობობა გაკავშირებს?

— არა, ამ ზაფხულამდე პირადად არ ვიცნობდი. უჰრინი ჩეხეთში დიდი მწვრთნელი, დიდი პიროვნებაა და ფანებს ძალიან უყვართ.

— ვიცით, რომ ნახევარდაცვაშიც ხშირად გითამაშია, რომელი პოზიცია გირჩევნია?

— დიდი მნიშვნელობა არ აქვს. „ვადუცთან“, მაგალითად, მარცხენა მცველი ვიყავი, თუმც შუა ხაზშიც შემიძლია თამაში.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბელხატუვმა ჩემპიონატიც ისე დაიწყო, როგორც უეფას თასი

**ევროთასებზე** შემორჩენილი ორი ქართული გუნდიდან ყველაზე რთული ამოცანა თბილისის „ამერს“ აქვს გადასაწყვეტი — უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში ორბურთიანი ჩამორჩენა უნდა ამოქაჩოს.

სანამ „ამერი“ განმეორებით მატჩამდე პაუზისას ამხანაგური შეხვედრებით ემზადება, მისი მეტოქე „გკს ბელხატუვი“ პოლონეთის ჩემპიონატში ჩაება და პირველი მატჩიც გამართა.

„ბელხატუვმა“ საშინაო არენაზე 4 000 მაყურებლის თვალწინ „კორონა“ დაამარცხა — 2:0. გოლები „ბელხატუვის“ ჰონდურასელ ლეგიონერ კარლოს კოსტლის და იაცეკ პოპეკის ანგარიშზეა.

„ამერის“ მეტოქემ ორივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანა და მშვიდად დაასრულა მატჩი.

ორესტ ლენჩიკმა ჩემპიონატის სადებიუტო მატჩში გუნდი ასეთი შემდეგი შემადგენლობით ათამაშა: *საპელა, კოვალჩიკი (გროძინსკი 79), კეკოტი, პიეტრაშიაკი, სტოლარჩიკი, ვრობელი, სტრაკი, რახვალი, იარჟებოვსკი, პოპეკი (საწჩეხი 69), კოსტლი (უიეკი 74).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვადუცის პირველი, გასპარის მეორე

**2 აგვისტოს** თბილისის „დინამო“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს გამართავს ლიხტენშტაინის „ვადუცთან“.

საქართველოს ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, შვეიცარიის ჩელენჯლიგაში კი უკვე მესამე ტური მიილია და „ვადუცმაც“ მეორე მატჩს ჩატარება მოასწრო.

პირველი წაგებული მატჩის შემდეგ ლიხტენშტაინელები „ივერდონს“ სტუმრობდნენ და პირველი საჩემპიონატო ქულებიც მიითვალეს — ბრუნო სუტერისა და გასპარის გოლებით „ვადუცმა“ 2:0 მოიგო. ეს უკვე გასპარის მეორე გოლია მეორე მატჩში.

აღსანიშნავია, რომ გასპარს თბილისურ მატჩში არ უთამაშია. „ივერდონთან“ კი ლიხტენშტაინელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *სომერი, რაინმანი, ზომბინი, ჩერონე, აკდემირი, ალეშანდრე, ვიეცორეკი, მაჯეტი, სუტერი (გროსკლაუსი 58), გასპარი (რიცბერგერი 90), პოლვერინო.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველები ევროპაში ჩანან და არც ჩანან

## მალხაზ ასათიანს ვერა და ვერ გაუგია: რა ხდება და რატომ ხდება?


მალხაზ ასათიანმა „დინამოსთან“ ოდენ 13 წუთი ითამაშა

**ძალიან** მწირი იყო ქართველი ლეგიონერების მონაგარი ამ შაბათ-კვირას. მართალია, ევროპის წამყვანი ჩემპიონატები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ სადაც უკვე გაგანია სეზონია, იქ ვერ იჩაუქეს ჩვენებმა.

ინტერტოტოს თასით დავიწყოთ, სადაც არც **ზურაბ ხიზანიშვილი** გამოჩენილა, არც **კახა მჟავანაძე**, არც **ნუკრი რევიშვილი** და არც **ლაშა სალუქვაძე**.

პირველის „ბლექბერნმა“ ლატვიურ „ვენტას“ შინ 4:0 მოუგრიხა კისერი, მეორის „ჩერნომორეცი“ ფრანგულ „ლანსთან“ 1:3 დამარცხდა, რევიშვილ-სალუქვაძის „რუბინმა“ ვენის „რაპიდს“ ვერაფერი მოუხერხა (0:0). ხიზანას მცირე ტრავმა აწუხებს, მჟავანაძე და რევიშვილი ავადმყოფობენ, სალუქვაძე კი დისკვალიფიცირებული იყო.

როგორც შევიტყვეთ, მუხლი სტკივებია შოთა არველაძეს და ამიტომაც ვერ ითამაშა „სტრასბურ“ — „ლევანტეს“ ამხანაგურ მატჩში (1:1).

ავსტრიის მაქსბუნდესლიგაში კვლავ წაუგებლად გამოძვრა გიორგი შაშიაშვილის „შტურმი“, რომელიც სტუმრად „მატერსბურგს“ 2:2 გაეყარა. „შაში“ 90 წუთი მინდორზე იყო, „შტურმს“ კი 4 ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს — იმდენივე, რამდენიც ჩემპიონ „ზალცბურგს“.

ლატვიაში რიგის „სკონტომ“ 3:1 მოუგო „დაუგავას“. დავით გამეზარდაშვილმა სრულად იბურთავა, ზაალ ელიავა კი, უკვე მერამდენე თამაშია, განაცხადშიც არაა და, რამდენადაც ვიცით, გუნდის შეცვლა აქვს გადაწყვეტილი.

დანიაში სამი ტურიდან სამი წაგება აქვს გიორგი ფოფხაძის „ვიბორგს“ — 20 წლის ქართველის გუნდმა ჩემპიონ „კოპენჰაგენთან“ სტუმრად 1:3 დათმო და ფოფხაძეს 90 წუთი დანიელთა ვარსკვლავ იესპერ გრონკიაერის პირისპირ მოუხდა ფლანგზე თამაში.

უკრაინული ამბები: „ზაპოროჟიე“ უგოლოდ გაეყარა „ხარკოვს“. დავით კვირკველიამ სრულად ითამაშა, ხოლო ირაკლი მოდებაძე ისევ დუბლებში გაისარჯა და გოლიც შეაგდო პენალტიდან.

**გიორგი დემეტრაძემ** ბოლო 16 წუთი ითამაშა კიევის „არსენალში“, მისმა გუნდმა კი **ვასილ გიგიაძის** „ნეფტოვიკს“ 3:0 აჯობა. ვასო 90 წუთი მინდორზე იყო და ყვითელი ბარათიც მიიღო.

დონეცკის „შახტარმა“ კი **ლადო ბურდულისა** და **გიორგი ციმაკურიძის** „ზარიას“ 3:0 სძლია.

ციმაკურიძემ დუბლებში ითამაშა, ბურდულმა კი ძირითად გუნდში ტაიმნახევარი იბურთავა.

**ჯაბა კანკავას** „დნიპრომ“ 4:1 გაანადგურა დონეცკის „მეტალურგი“.

უკრაინულმა საიტებმა ჯაბას თამაშს ჩინებული უწოდეს — ჩვენიანი მატჩის ბოლოსკენ შეცვალეს.

რუსეთში ცოტა ხანს მოყოჩაღებული „ლოკომოტივი“ ისევ გაჩერდა. **მალხაზ ასათიანის** გუნდმა კვლავ ვერ მოიგო, ამჯერად მოსკოვის „დინამოსთან“ 2:2. ჩვენიანი კი სათადარიგოთა სკამზე დაბრუნდა — მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა მხოლოდ ბოლო 13 წუთი „აჩუქა“.

ნამატჩევს მალხაზ ასათიანს რუსი ჟურნალისტი გაესაუბრა:

**— რა მიზეზით ვერ მოხვდით ძირითადში?**

— ასე გადაწყვიტა მწვრთნელმა. მე კი მის გადაწყვეტილებაზე კომენტარის გაკეთების უფლება არ მაქვს.

**— რას იტყოდით მატჩზე?**

— ორი წაგების შემდეგ საშინაო ფრე ძალიან საწყენია. მინდა, მოვუბოდიშო გულშემატკივარს, რადგან „ლოკომოტივი“ ისე ველარ თამაშობს, როგორც მისგან ელიან.

**— „ლოკომოტივი“ მხოლოდ ეპიზოდებში თამაშობს ხარისხიან ფეხბურთს. რატომ?**

— ყველა ამას კითხულობს, მაგრამ მიზეზი არავინ იცის. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პრობლემები არსებობს.

ნალჩიკის „სპარტაკიდან“ „ლუჩ-ენერგიაში“ გადასულ **ლევან გვაზავას** მოსკოვის „სპარტაკთან“ საშინაო მატჩში (1:1) არ უთამაშია. გვაზავა მაინც ახალწვეულია და, ეტყობა, ძლიერ მეტოქესთან მის დაყენებას ამიტომაც მოერიდა ვლადივოსტოკელთა მწვრთნელი.

რუსეთის პირველ დივიზიონში წაგებებში ჩაეფლო მახაჩყალის „ანჟი“, თუმც ქართველებს რა დავაბრალოთ? უკვე ორი ტურია, არც **გოჩა ხოჯავა** თამაშობს და არც **ზურაბ არზიანი**.

ხოჯავაზე „ანჟის“ ვებგვერდს უწერია, საქართველოშიაო...

ასევე გადაწყდა, რომ მახაჩყალიდან წავიდნენ **მიხეილ აშვეთია** და **ვალერი აბრამიძე** — კლუბის ხელმძღვანელობას პირობებზე ვერ შეუთანხმდნენ.

**ილია ნანოგაშვილი**

# წაგებული შალკე და უკმაყოფილო კობი



**ლევან კობიაშვილსა** და გელზენკირხენის „შალკეს“ პირველი საამსეზონო ტიტულის მოგება შეეძლოთ, მაგრამ ლიგის თასის ფინალში არაოპტიმალური შემადგენლობით მოთამაშე „ბაიერნთან“ 0:1 დამარცხდნენ.

ლიგის თასი ბუნდესლიგისა და ქვეყნის თასის შემდეგ მესამეა პრესტიჟით. ამ გათამაშების საპრიზო ფონდი „სულ რაღაც“ 5 მილიონ 200 ათასი ევროა და არა გვგონია, ერთ კვირაში ამხელა თანხის მოგებაზე ვინმემ უარი თქვას. თანაც გათამაშებაში გასული სეზონის პირველ ოთხეულთან ერთად თასის მფლობელი და მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი მონაწილეობენ და ტურნირის სიძლიერეზე ესეც მეტყველებს.

ფინალამდე „შალკეს“ შედარებით იოლი გზა შეხვდა — ელიტაში აღზევებული „კარლსრუესა“ (1:0) და თასის მფლობელ „ნიურნბერგის“ (4:2) დამარცხება არ გასჭირვებია. იოლად მოიგო თავის მატჩები „ბაიერნმაც“, თუმც ბავარიელებს გაცილებით მრისხანე მეტოქეების, „ვერდერის“ (4:1) და „შტუტგარტის“ (2:0) ძლევა მოუხდათ.

ფინალში, 29-ე წუთზე მიროსლავ კლოზესგან გაშვებული გოლის შემდეგ „შალკემ“ გატანა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა.

საერთოდ, გუნდმა მთლად კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, რაც ნამატჩევს ლევან კობიაშვილმაც აღნიშნა, რომელმაც სრულად ითამაშა: „საწყენია, რომ წავაგეთ. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, განსაკუთრებით შეტევაში. ორთაბრძოლებშიც არ შევდიოდით. ახლა ისლა დაგვრჩენია, ჩვენსავე შეცდომებზე ვისწავლოთ და საქმე გამოვასწოროთ.“

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გერმანელი ქართველების სამზადისი

**გასულ** უქმეებზე მეორე ბუნდესლიგის გუნდები უსაქმოდ არ ყოფილან და ტესტ-მატჩები გამართეს.

ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი“ თანალიგელ „ფიურტს“ გაეჯიბრა და 2:2-ზე დაუზავდა.

„ხიზანეიმ“ სრულად ითამაშა. მართალია, გოლებში წვლილი არ მიუძღვის, მაგრამ ორჯერ შეეძლო გატანა, როდესაც საჯარიმოები დაარტყა, თუმც მეკარემ არ დაანება.

დავით სირაძის „პადერბორნმა“ კი განის „აკატა კეკოტუს“ 1:0 მოუგო.

სირაძე ისევ სასტარტოში იყო და 62 წუთი იბურთავა. მე-18 წუთზე თავით გოლის გატანაც მართებდაო, წერენ გერმანელები.

ნამატჩევს კი მწვრთნელმა განაცხადა, სირაძეს სიმწვავე აკლიაო.

სხვათა შორის, ზედიზედ მეორე მატჩია, ჩვენებური ფლანგელ ნახევარმცველად გვევლინება.

სრულად დაყო მოედანზე მათე ღვინიანიძემ. მისი „მიუნხენ 1860“ კი ბერძნულ „პანიონიოსს“ უგოლოდ დაუზავდა.

გერმანული ვებგვერდების ცნობით, მათე დაცვის ცენტრში მედგრად იდგა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


გერმანელები მათე ღვინიანიძით კმაყოფილნი არიან

# მუჯირს პლანეტისკენ ექაჩებიან

## რას ეტყვის კრილია სატურნს?



**ვინძლო,** გუშინ დავით მუჯირმა თავისი მომავალი გუნდის წინააღმდეგ ითამაშა. დიახ, რამენსკოეს „სატურნის“ ხელმძღვანელობა ღიად აცხადებს, „კრილიას“ ორი წამყვანი ფეხბურთელის გადაბირება გვსურსო და, როგორც გაირკვა, ერთ-ერთი მათგანი მუჯირია.

„მუმუ“ რომ სამარის „კრილია სოვეტოვში“ ფრთაშესხმული ველარაა, ამას თვითონაც არ მალავს — ჩვენიანი მწვრთნელ სერგეი ობორინზე ნაწყენია, მატჩი არ გავა, ან არ შემცვალოს, ან შეცვლაზე არ შემიყვანოს, ბოლომდე ვერც ერთი თამაში ვერ ჩამიტარებიაო.

არადა, მუჯირი გუნდის კაპიტანი და მედიის შეფასებებით, სამარელთა საუკეთესო ფეხბურთელიცაა.

ვნახოთ, რამდენად ფხიანი იქნება „სატურნი“, ან რამდენად გაჯიუტდება „კრილია“.

ჰო, გუშინდელ მატჩში მუჯირი ძირითადში იყო და... 39-ე წუთზე შეცვალა ობორინმა...

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველების ევროპული საზომი: მეთორმეტე ადგილი

## კადეტებმა ახალგაზრდები გაიმეორეს, ისრაელი — ვერა

28 ივლისი

**საქართველო 40:71 უკრაინა**

*7:11 11:24 17:20 5:16*

საქართველო: თავართქილაძე, ჩიკვილაძე (3), იოსელიანი, დვალიშვილი (5), შენგელია (17); ბაქრაძე (4), მაღლაკელიძე (3), ელანიძე (4), ბოქოლიშვილი (4), ხეთაგური, სულაბერიძე

უკრაინა: პალინინი (2), ლებედინცევი (17), ბანდუში, გუმენი (2), კონატი (11); ლიპოვი (14), სანდული (15), დიუბა (7), მაზნიევი (2), სულიმა, ვირასტიუკი, კიტი

29 ივლისი

**საქართველო 64:77 ისრაელი**

*22:22 11:18 14:19 17:18*

საქართველო: ელანიძე (2), ჩიკვილაძე (13), ბაქრაძე (12), დვალიშვილი (8), შენგელია (10); მაღლაკელიძე (9), იოსელიანი (7), სულაბერიძე (3), ბოქოლიშვილი, ჭოხონელიძე

ისრაელი: ბუშმენი (15), დოთანი (11), იცხაკი (4), შამრიზი (20), ტამირი (14); როტემბერგი (6), ტიშმანი (3), ოპანა (2), ვულფი, კოენი (2), პავკინი, ბუბბინდერი

**წლეულს** ქართველი თინეიჯერები ევროპაში მეთორმეტეები არიან. ახლახან იყო, 20-წლამდელებმა ევროპის ჩემპიონატზე მე-12 ადგილი რომ დაიკავეს, გუშინ კი საბერძნეთში დამთავრებულ ევროპირველობაზე ჩვენმა კადეტებმაც იგივე შედეგი აჩვენეს.

მიხეილ კობეშავიძის გუნდის მიზანი A დივიზიონში ადგილის შენარჩუნება გახლდათ და ეს დილემა ჩვენებმა ჯერ კიდევ ტურნირის დასაწყისში გადაჭრეს, როცა პირველი ჯგუფური ეტაპი დაძლიეს. მას შემდეგ ქართველ 16-წლამდელებს სანერვიულო აღარაფერი ჰქონდათ — თუ კიდევ იყოჩაღებდნენ, შედარებით უკეთეს შედეგს გამოჰკრავდნენ ხელს, არადა, B დივიზიონში დაქვეითება აღარ ემუქრებოდათ. კობეშავიძის შეგირდებმა არაერთხელ გაიბრძოლეს, მეორე ჯგუფში იმარჯვეს კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაფერი გამოუვიდათ.

ისე, მეორე ეტაპზე ისრაელის დამარცხება სჯობდა, ებრაელებისთვის გუშინ მოგვეგო. იმ გამარჯვებით აღთქმული მიწის შვილები ჯგუფურ ეტაპზე ერთი თამაში მოიგეს კი ჩამოვიტოვეთ, მაგრამ ფორტუნამ მათთან ერთხელაც შეგვახვედრა. 9-12 ადგილებისთვის საბრძოლველი პირველი მატჩები საქართველომაც წააგო და ისრაელმაც. ჰოდა, გუშინ ეს გუნდები კვლავ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ — ამჯერად მე-11 ადგილისთვის მატჩში.



თორნიკე შენგელია ებრაელი კალათბურთელების გარემოცვაში

სიმართლე ითქვას, ქართველებს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანათ. კობეშავიძის გუნდს შაბათს პარალელურ ჯგუფში ბოლოადგილოსანი უკრაინა შეხვდა, რომელიც აქამდე არაფრით გამოირჩეოდა. უკრაინელებმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე უსუსტესი პორტუგალია დაამარცხეს და მხოლოდ ამის წყალობით გავიდნენ მომდევნო ეტაპზე, სადაც ყველა შეხვედრა უიმედოდ დათმეს.

მხოლოდ ამ შედეგებით ძნელია გუნდის რეალური ძალის განსაზღვრა, თუმც უკრაინა არც ისეთი ძლიერია, საქართველო ასეთი სხვაობით რომ დაემარცხებინა. 31 ქულით ქართველები მოქმედ ჩემპიონ და ახლაც ფინალამდე მისულ ესპანელებთან არ დამარცხებულან.

თორნიკე შენგელიას 17 ქულა კიდევ საქმეა, აი, დანარჩენებს კი უკრაინასთან თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. შენგელიას შემდეგ ყველაზე უკეთესი შედეგი აკაკი დვალიშვილმა აჩვენა — 5 ქულა. პირველ მეოთხედში ბრძოლა კი იყო, მაგრამ შემდეგ მსგავსი აღარაფერი ყოფილა. უკრაინელებმა აიწყვიტეს და ქართველებმა მათი შემაჩერებელი იარაღი თამაშის ბოლომდე ვეღარ იპოვეს. ბოლო მეოთხედი მთლად სამარცხვინო გამოვიდა — კობეშავიძეს გუნდმა მხოლოდ 5 ქულა შეაკოწიწა.

ტურნირის ბოლო შეხვედრა ისრაელთან იყო. პრინციპში, რა დიდი განსხვავებაა მეთერთმეტე ადგილსა და მეთორმეტეს შორის, მაგრამ ჩემპიონატის გამარჯვებით დამთავრებას თავისი დადებითი მუხტი ექნებოდა. თან ებრაელები უკვე დაემარცხებინათ ჩვენებს და ამ მოგებით ერთხელაც ცხადყოფდნენ მათთან უპირატესობას, მაგრამ არ გამოვიდა. საქართველო მხოლოდ პირველ მეოთხედში ეპაექრა ტოლ-სწორად მეტოქეს, მეტისთვის კი ძალები აღარ გასწვდა და ევროპის ჩემპიონატი მე-12 ადგილზე დაასრულა.

**ირაკლი ბერტაია**



ჰანუ მოტოლა

# ჰერბერტმა მოტოლა დაიტოლა

**ამ დღეებში** ევროპულ კალათბურთში სხვა მრავალ ტრანსფერთან ერთად ერთი ასეთიც განხორციელდა — ჰანო მოტოლა კაუნასის „ჟალგირისიდან“ სალონიკის „არისში“ გადავიდა. ჩვეულებრივი ტრანსფერია, მაგრამ ჩვენთვის ის ორმაგად საინტერესოა და აი, რატომ...

ჰანო მოტოლა იმ ფინეთის ლიდერია, რომელთანაც საქართველოს ნაკრებს სექტემბერში ევროშესარჩევის გადამწყვეტი მატჩი ელის. მოტოლა იყო ერთ-ერთი იმათგანი, ვინაც ქართველებს შარშანწინ A დივიზიონში გადასვლის იმედი გადაუწურა და ახლაც იგივეს გაკეთებას ლამობს. თუმც ყველაზე საინტერესო ისაა, რომ მოტოლას ახალ გუნდს საქართველოს ნაკრების ყოფილი თავკაცი გორდონ ჰერბერტი წვრთნის.

ჰერბერტმა სწორედ იმიტომ დატოვა ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი, რომ „არისში“ მიიწვიეს და ბერძნულ კლუბში და ჩვენს ნაკრებში ერთდროულ მუშაობას ვერ შეძლებდა. ჰერბერტის ნაცვლად კი საქართველოს ეროვნულ გუნდში კენ შილდსი გაუფრთხილდა. მისტერ გორდონს ჩვენი ნაკრები არ დაუტოვებია, ის შილდსის თანაშემწედ ითვლება და, როგორც კალათბურთის ფედერაციაში ამბობენ, ჰერბერტი მეტოქეებზე ინფორმაციის შეგროვებით იქნება დაკავებული.

ამაზე უკეთესი რა ინფორმაცია უნდა —მთავარი მეტოქის ლიდერი მისი შეგირდი გახდა.

**ირაკლი ბერტაია**



# ქართული წერტილი: კლასიკური მძიმე



**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთაგან ხვავიანად გახსნილი ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი ბერძენ-რომაელებმა ხვავიანადვე დახურეს. ვარშავული კვირეულის პირველ-ორ დღეზე უკვე მოგახსენეთ, თუმცა კარგი გასახსენებელია და ერთხელაც შეგახსენებთ: თავისუფლებმა პოლონური ხალიჩიდან ერთი ოქრო, ორი ვერცხლი და ორი ბრინჯაო წამოიღეს. მერე ორი დღე ქალების იყო და ქართველებს საგულშემატკივრო არავინ გვყავდა. უქმეები კი კლასიკოსებს დაეთმოთ.

ვაჟა კრავეიშვილის შეგირდებმა ოთხი მედალი მოიპოვეს და ოთხივე მედალოსანმა ფინალი იჭიდავა. ტურნირი წაუგებლად მხოლოდ მძიმეწონოსანმა ვასილ იმერლიშვილმა დაასრულა. მინდია წულუკიძეს (42კგ), პაატა ბაკურიძესა (63კგ) და თორნიკე ნაჭყებიას (69კგ) კი გადამწყვეტ ბრძოლებში დაუცდათ ფეხი და ვერცხლს დასჯერდნენ.

იმერლიშვილი კენჭისყრამ იმ რვა მოჭიდავეში მოახვედრა, სხვა თორმეტისგან განსხვავებით ტურნირს მეორე წრიდან რომ ვერ დაიწყებდნენ. ამიტომ ბადის საპირისპირო მხრიდან ფინალში მისულ მეტოქეზე ერთი შეხვედრით მეტი დასჭირდა. პირველ წრეში ქართველმა სლოვაკ დავიდ ლენგიელს აჯობა. მერე ზედ ხორვატი მარკო კოსკევიჩი და ლიტველი მარიუს გრიგელისიც მიაყოლა. ნახევარფინალში ბულგარელ ჰუსეინ ჰუსეინს მოუგო, ხოლო ჩემპიონატის დამაგვირგვინებელ ფინალში რუმინელ ალინ ალექსუსს.

წულუკიძემ და ბაკურიძემ ოქროს ბრძოლები აზერბაიჯანელ მეტოქეებთან წააგეს. მინდიამ ელდანიზ აზიზლიმდე უკრაინელი ამეტ იულდაშევი, ფინელი პაველ მარტიკაინენი და უნგრელი ადამ მოლნარი ჩამოიცილა. ხოლო პაატამ, ვიდრე ტურალ ჰუსეინოვთან დამარცხებოდა, ოთხ მეტოქეს გადაუღობა ოქროს გზა — ნორვეგიელ კრისტოფერ ჰაგერს, ავსტრიელ ფლორიან მარშალს, რუს მაქსიმ აბაევს და სომეხ გევორგ სააკიანს.

ნაჭყებიამ ტურნირი ბელარუსი დიმიტრი ჰალიცკის ძლევით დაიწყო და სომეხ არტაკ სააკიანსა და თურქ მალიკ ალვერსაც ერთი ამოსუნთქვით გაუსწორდა. ფინალში კი უნგრელ დენიელ ჰლავატისთან ველარას გახდა.

ქართული ათეულის დანარჩენი ექვსი წევრიდან მედალთან ყველაზე ახლოს გიორგი და საჩინო დავითაიები (46 და 54 კილოგრამი წონითი კატეგორიები) მივიდნენ. მათ რეპეშაჟის ფინალები წააგეს და საბოლოოდ მეხუთე ადგილები დაიკავეს. ოთარ რამიშვილი (76კგ) მეშვიდეზე გავიდა, ჯემალ ხარაბაძე (50კგ) და შალვა თოდრაძე (85კგ) — მეცხრეზე, ხოლო დავით ტაკაშვილი (58კგ) — მეთერთმეტე იყო.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბელგრადი, სერბეთი



ზურაბ ფირფილაშვილის ფოტო

ეკა გორგოძემ ბელგრადიდან ოქრო-ვერცხლი წამოიღო

# სერბული ორიანები

## ქართველებისთვის ფესტივალი ტატამი და კორტია

**ბელგრადში** ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი საქართველომ ექვსი მედლით და გუნდური მეთექვსმეტე ადგილით დაასრულა. სპორტის თერთმეტი სახეობიდან ჩვენებურები შვიდში: ძიუდოში, მძლეოსნობაში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ველორბოლაში, ცურვასა და ტანვარჯიშში გამოვიდნენ. ოთხ გუნდურ სახეობაში: ფრენბურთში, კალათბურთში, წყალბურთსა და ხელბურთში კი ტურნირმა ჩვენებურების გარეშე ჩაიარა.

ოცდაშვიდსპორტსმენიან ქართულ დელეგაციაში ყველაზე მეტნი, თორმეტნი ძიუდოისტები იყვნენ. აქედან შვიდი ბიჭი და ხუთი გოგო. მედლების მთავარ ფავორიტად სწორედ ბიჭების გუნდი სახელდებოდა და იმედებიც გაამართლეს. გურამ მოდებაძის შვიდეულიდან საპრიზოზე ოთხი ავიდა. საუკეთესო შედეგი ზებედა რეხვიაშვილმა (66 კგ) აჩვენა. ახლახან ახალგაზრდული ევროპირველობის მომგებმა ბელგრადშიც უპრობლემოდ იჩემპიონა. ზვიად კაპანაძემ (60 კგ) ევროვერცხლს ამჯერადაც ვერცხლი მიამატა. თან ისევ იმ აზერბაიჯანელ მეტოქესთან დამარცხდა ფინალში, ვისთანაც ევროპირველობა წააგო. ოთარ კაიდარაშვილი (50 კგ) და გიორგი მერმანიშვილი (73 კგ) კი მესამე ადგილებზე გავიდნენ.

თითო ოქრო-ვერცხლი ქართულ მარაგს ჩოგბურთელებმა შემატეს. განსაკუთრებით ეკატერინე გორგოძის წარმატებაზე უნდა ვთქვათ. იგი ერთადერთი ქართველია, თბილისში ორი მედლით რომ დაბრუნდა. ერთეულთა ტურნირში გორგოძემ მხოლოდ გადამწყვეტი შეხვედრა წააგო. ფინალიდან რამდენიმე საათში კი თავის მძლეველს რევანში შერეულ წყვილებში აუღო, გიორგი ხმიადაშვილთან ერთად.

**ოთარ ჩაღლაძელიძე**

### ქვეყნები და მედლები

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 18 | 6 | 8 |
| ბრიტანეთი | 9 | 7 | 8 |
| იტალია | 9 | 7 | 6 |
| გერმანია | 8 | 8 | 16 |
| უკრაინა | 8 | 6 | 4 |
| აზერბაიჯანი | 7 | - | - |
| ბელგია | 4 | 3 | 3 |
| რუმინეთი | 4 | 1 | 3 |
| პოლონეთი | 3 | 8 | 5 |
| საფრანგეთი | 3 | 6 | 8 |
| ჰოლანდია | 3 | 6 | 1 |
| უნგრეთი | 3 | 5 | 15 |
| სერბეთი | 3 | 3 | 3 |
| ლატვია | 3 | 2 | - |
| ხორვატია | 2 | 4 | 2 |
| საქართველო | 2 | 2 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 4 | 3 |
| შვედეთი | 1 | 3 | 3 |
| სლოვენია | 1 | 3 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 2 | 4 |
| თურქეთი | 1 | 2 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 1 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 |
| დანია | 1 | - | 4 |
| ლიტვა | 1 | - | 2 |
| ბულგარეთი | 1 | - | 1 |
| ესტონეთი | 1 | - | - |
| ირლანდია | - | 2 | 3 |
| ავსტრია | - | 2 | 1 |
| ბელარუსი | - | 1 | 2 |
| ისრაელი | - | 1 | 2 |
| ფინეთი | - | 1 | 1 |
| ნორვეგია | - | 1 | 1 |
| ბოსნია | - | 1 | - |
| ჩეხეთი | - | - | 3 |
| საბერძნეთი | - | - | 1 |
| ლუქსემბურგი | - | - | 1 |

*მედლების გარეშე დარჩნენ: ალბანეთი, ანდორა, სომხეთი, მაკედონია, კვიპროსი, ისლანდია, ლიხტენშტაინი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, სან მარინო და ჩერნიგორია*



# არგენტინელი ხუან მონაკო ავსტრიელი

**კაცები**
ინდიანაპოლისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 525 000 $

### ნახევარფინალი

**ფრენკ დანსევიჩი** (კანადა) — ენდი როდიკი (1, აშშ) 6:4 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი** (3, რუსეთი) — სემ ქუერი (აშშ) 7:6 6:2

ძალიან მოულოდნელი ფინალი გაიმართება ინდიანაპოლისში — ერთმანეთს დმიტრი ტურსუნოვი და ფრანკ დანსევიჩი დაეტაკებიან. ტურნირის გადამწყვეტ მატჩში არც ერთს მათგანს არ ელოდნენ, რადგანაც ადგილობრივებს წმინდად იანკური ფინალის ხილვის იმედი ჰქონდათ, მაგრამ თავისი გულშემატკივრები ვერც ენდი როდიკმა გაახარა, ვერც ჯეიმს ბლეიკმა და ვერც სემ ქუერემ.

როდიკის წაგება საერთოდ დიდი სიურპრიზი იყო, რადგანაც დანსევიჩს აქამდე ტოპათეულის წარმომადგენლისთვის არასოდეს მოეგო. თუმც ენდი-ბოი მისსავე იარაღით დაიჩაგრა. კანადელმა 15-ჯერ ჩაუეისა მეტოქეს მაშინ, როცა როდიკი საზიზღრად გამოიყურებოდა საკუთარ მოწოდებაზე — ენდის მაჩვენებელი პირველ მოწოდებაზე მხოლოდ 47% იყო, რაც მისთვის ამაზრზენი მაჩვენებელია. ნამატჩევს როდიკი თავს იმართლებდა, თამაშისას მუცელი ამტკივდაო, მაგრამ დანსევიჩის დონის მეჩოგნეებს ის კოჭლობით უნდა უგებდეს.

ამერიკელთა ბოლო იმედი კი ტურსუნოვმა გუშინ გამთენიისას ჩაკლა, როცა ბლეიკის მძლეველ თინეიჯერ სემ ქუერეის ორ სეტში აჯობა და დანსევიჩთან შეხვედრა დაიბევა.

**კაცები**
კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 786 250 €

### ნახევარფინალი

**ხუან მონაკო** (5, არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (11, ესპანეთი) 7:5 7:5; **პოტიტო სტარაჩე** (10, იტალია) — აგუსტინ კალერი (6, არგენტინა) 6:4 7:5

### ფინალი

**მონაკო** — სტარაჩე 5:7 6:3 6:4

1974 წლიდან მოყოლებული ხუან მონაკო მეექვსე არგენტინელია, კიცბიუელში რომ იგებს. ამ პატაგონიელს წლეულს თავისთვის უჩვეულოდ მოსავლიანი სეზონი აქვს, რადგანაც უკვე მესამე ტურნირს იგებს — აქამდე მშობლიურ ბუენოს აირესსა და კიდევ ერთ ავსტრიულ ქალაქ პორტშახში იჩემპიონა.

არგენტინელს ტიტულის მოსაგებად გვარიანი ოფლის ღვრა კი მოუწია — ჯერ მეოთხედფინალში ტურნირის პირველ ნომერ ტომი რობრედოს მოუგო, მერე თიხნარის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტ ფერნანდო ვერდასკოს გაუმკლავდა და ფინალშიც გვარიანად იწვალა პოტიტო სტარჩესთან. მეტიც, იტალიელმა, რომელიც ამხელა ტურნირის ფინალში პირველად იყო, საწყისი სეტი მოიგო კიდეც, მაგრამ შემდეგ უკვე სიტუაციის ბატონ-პატრონი მონაკო იყო, რაც პატაგონიელმა შედეგითაც დაამტკიცა და ალპებში წლეულს მეორედ იჩემპიონა.

**კაცები**
უმაგი. ხორვატია. თიხნარი
საპრიზო 353 450

### ნახევარფინალი

**ანდრეი პაველი** (რუმინეთი) — ვიქტორ ტროიცკი (სერბეთი) 6:3 6:3; **კარლოს მოია** (6, ესპანეთი) — გილერმო კანასი (5, არგენტინა) 6:3 6:2



ხუან მონაკოს ავსტრიული შამპანური გაუტკბა

კარლოს მოია თავის მეხუთე უმაგურ ტიტულს უმიზნებს და ამასთან ახლოსაც არის, რადგანაც ფინალში თავისზე კლასით გაცილებით დაბალ მეტოქეს, ანდრეი პაველს ხვდება. გადამწყვეტ მატჩში გზა ვეტერანმა ესპანელმა გილერმო კანასის ძლევით გაიკვალა.

მეორეს მხრივ კი, უმაგში წლეულს საქმე თავიდანვე ისე წავიდა, რომ ყოველ წრეში თითო ბობოლა აგებდა. ჰოდა, ფინალამდე პირველი ხუთი განთესილი ჩამოიცილეს (რაშიც თავისი წვლილი იმავე პაველმაც შეიტანა მესამე ნომერ ივან ლიუბიჩიჩის წაქცევით) და ამ ლოგიკით ახლა მეექვსე ნომრის, ანუ მოიას დროა. ასე რომ, რუმინელი სულაც არ მიიჩნევს თავს აუტსაიდერად.

**ქალები**
გაშტაინი. ავსტრია. თიხნარი
საპრიზო 175 250 $

### ნახევარფინალი

**ფრანჩესკა შიავონე** (1, იტალია) — კაია კანეპი (4, ესტონეთი) 6:4 6:2; **ივონ მოისბურგერი** (ავსტრია) — კარინ კნაპი (7, იტალია) 6:1 3:6 6:3

### ფინალი

**შიავონე** — მოისბურგერი 6:1 6:4

ფრანჩესკა შიავონესაც დაადგა საშველი და ბოლოს და ბოლოს გატეხა ნავსი — გამოცდილმა იტალიელმა ავსტრიულ გაშტაინში თავისი პირველი ტიტული მოიგო და მაგრადაც გაიხარა. აქამდე რვა ფინალის წამგები იტალიელისთვის იღბლიანი ივონ მოისბურგერთან დატაკება აღმოჩნდა — აპენინელმა ავსტრიელი უშანსოდ დატოვა.

**ქალები**
სტენფორდი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

### ნახევარფინალი

**ანა ჩაკვეტაძე** (1, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (3, სლოვაკეთი) 6:7 6:3 6:2; **სანია მირზა** (ინდოეთი) — სიბილ ბამერი (8, ავსტრია) 6:2 5:7 6:3

ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს ანა ჩაკვეტაძე, რომელიც წლეულს დიდებულად ირჯება. მიუხედავად იმისა, რომ ნახევარფინალებს ანამაც და მისმა მეტოქე სანია მირზამაც ერთნაირად დიდი ძალები შეალიეს, ფინალში ჩაკვეტაძე მაინც უეჭველ ფავორიტად მოჩანს — ჯერ ერთი, რომ ქართული ფესვების მქონე რუსი კლასით აღემატება ინდოელს; მეორეც, ჩაკვეტაძემ მირზას სულ რაღაც ერთი კვირის წინ ცინცინატის ნახევარფინალში მოუგო და იცის, აზიელისგან რას ელოდოს.

**კახა ლომჯარიძე**



ანა ჩაკვეტაძე

კოკა კოლას თასი. თბილისი. 23-28 ივლისი. ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$

# ლადო ჩიხლაძის პირველი თბილისური

## დღეს იან ჰომერზე მეორე ტურნირი იწყება

**ერთეულები**

**ნახევარფინალი**

ლადო ჩიხლაძე (3, საქართველო) — დანიელ ლუსტიგი (6, ჩეხეთი) 6:4 6:4;
კლემენ მორელი (2, საფრანგეთი) — მიხაილ პაზიჩკი (სლოვაკეთი) 6:2 6:1

**ფინალი**

ლადო ჩიხლაძე (3, საქართველო) — კლემენ მორელი (2, საფრანგეთი) 7:6(5) 6:4



გასულ უქმეებზე დასრულდა ITF-ის კაცთა ტურნირი ჩოგბურთში. შაბათს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები, ხოლო კვირას — ფინალი. მოვლენებს თანმიმდევრობით მივყვები და დავიწყოთ სლოვაკი მიხაილ პაზიჩკისა და ფრანგი კლემენ მორელის შეხვედრით. რამდენიმე სიტყვას მორელზე გეტყვით. 22 წლის ფრანგი სწრაფ და ტექნიკურ ჩოგბურთს თამაშობს, კარგად ხედავს მოედანს და ყველა ბურთზე იბრძვის, მიუხედავად მისი არცთუ შთამბეჭდავი ფიზიკური მონაცემებისა. მორელი ტურნირზე მეორე ნომრად იყო განთესილი და პაზიჩკისთან მატჩში იგი უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. შეხვედრა მასა და მსოფლიო რეიტინგში 1507-ე ადგილზე მყოფ, ჯერჯერობით უსახელო და ახალგაზრდა პაზიჩკის შორის ამ უკანასკნელის მიერ მოგებული ზედიზედ ორი გეიმით დაიწყო. დროს მორელი ემოციური ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გამუდმებით თავის თავს ელაპარაკებოდა და დარტყმის გაფუჭების შემთხვევაში, ყვირილით და ჩოგნის მოედანზე დახეთქებით ცდილობდა უსიამოვნო შეგრძნებებისგან გათავისუფლებას. როგორც ეტყობა, ეს მისთვის ჩვეულებრივი ამბავია, თორემ კაცი იფიქრებდა, მისი ნერვების პატრონი ჩოგბურთს როგორ თამაშობსო. მორელმა ნელ-ნელა აკრიფა სიჩქარეც და ქულებიც და შემდეგი 13 გეიმიდან მხოლოდ ერთი დაუთმო მეტოქეს. პირველი სეტი კლემენმა 6:2 მოიგო, ხოლო მეორე — 6:1. ასე რომ, ფრანგმა სლოვაკი ყოველგვარი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე დაამარცხა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა.

რადიკალურად განსხვავდებოდა ლადო ჩიხლაძის და ჩეხი დანიელ ლუსტიგის დაპირისპირება. ლუსტიგზე ადრეც ვთქვი, რომ ფიზიკურად ძლიერი ჩოგბურთელია და თამაშის სტილიც აუღელვებელი და მექანიკური აქვს. მთელი ორი სეტის განმავლობაში სუნთქვაც კი არ აჩქარებია და ისე მონოტორულად უხათქუნებდა ბურთს ჩოგანს, გეგონებოდათ, სავარჯიშო აპარატის მოწოდებულს იგეირიებსო. თამაში 6:4 6:4 დამთავრდა და ლადოს ერთი გეიმიც კი არ მოუგია დაძაბული ბრძოლის გარეშე.

ფინალური შეხვედრა გუშინ ცენტრალურ კორტზე ჩატარდა და მოთამაშეებმა ფინალს რომ ეკადრება, ისეთი ბრძოლა აჩვენეს. მატჩის დასაწყისი ლადოსთვის კოშმარული აღმოჩნდა, პირველ სეტში მორელი 4:1 იგებდა და ამ ჩამორჩენის აღმოფხვრას ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ წარმოიდგენდა.

შემდეგ იყო ქართველი ჩოგბურთელის ძლიერი მოწოდებები, რასაც ფრანგმა სპორტსმენმა ვერაფერი მოუხერხა. ლადომ ტიტანური შრომის ფასად 4:1-დანაც ამოქაჩა და ტაიბრეიკში სეტიც მოიგო. მოვლენების ასეთმა განვითარებამ ფრანგი მდგომარეობიდან გამოიყვანა, სეტის დასასრულს მორელმა ჩვეულებრივზე შორს მოისროლა ჩოგანი და ცისკენ ხელაპყრობილი რაღაცას გამალებით ლაპარაკობდა. მეორე სეტშიც ისევ უკომპრომისო ბრძოლა გაიმართა, მაგრამ ლადო დამაჯერებლად თამაშობდა და მის წარმატებაში ეჭვი უკვე აღარავის ეპარებოდა. 2:2-ზე მოწინააღმდეგის მოწოდებაზე გეიმი მოიგო და თამაშის გამარჯვებამდე მიყვანაც აღარ გასჭირვებია. საბოლოო ჯამში შეხვედრა 7:6(5) 6:4 დამთავრდა.

რაც შეეხება წყვილების ფინალს, ბელარუსი სერგეი ბეტოვისა და რუსი მიხალ ილგინის ტანდემს ჯირი კრკოსკას და დანიელ ლუსტიგის ჩეხურმა დუეტმა მოუგო.

„კოკა კოლას თასი" გუშინ დასრულდა და დღეიდან იან ჰომერის კორტებზე მორიგი ტურნირი გაჩაღდება. მონაწილენი, პრაქტიკულად, იგივე ჩოგბურთელები არიან.

**ზურაბ მიზრიაული**

# ოქსანა კალაშნიკოვას ევროპული ოქრო-ვერცხლი



**ავსტრიული** გაშტაინის თიხნარზე 18 წლამდე ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა და ჩვენმა ოქსანა კალაშნიკოვამ მშვენიერი შედეგი აჩვენა — ერთეულთა თანრიგში ფინალს უწია და მხოლოდ გადამწყვეტ შეხვედრაში დამარცხდა, ხოლო წყვილებში სტეფანი ფოგტთან ერთად ჩემპიონობა მოიპოვა.

კალაშნიკოვა ერთეულთა შორის მე-8 ნომრად იყო განთესილი. პირველ წრეში ქართველმა ჩოგბურთელმა 6:4 6:4 მოუგო ხორვატ ტამარა სტოიკოვიჩს. შემდეგ ასევე ორ სეტში — 6:3 6:1 სძლია ბელარუს იმა ბოჰუშს. მესამე წრეში ოქსანამ წყვილებში თავისი პარტნიორი, ლიხტენშტაინელი ფოგტი სამ სეტში — 6:4 3:6 6:1 დაჯაბნა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ავსტრიელ იანინა ტოლჯანს 6:4 6:4 მოუგო.

ოქსანამ ნახევარფინალშიც ორ სეტში იმარჯვა — შვეიცარიელი ნიკოლ რანერი 6:1 6:1 დაამარცხა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენიანის მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი შვეიცარიელი სტეფანი მოეგლი იყო, რომელმაც მთელი გზა სეტისწაუგებლად გაიარა. ჩვენდა სამწუხაროდ, შვეიცარიელმა ფინალშიც არ დათმო სეტი, კალაშნიკოვას 6:4 6:2 მოუგო და ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

სამაგიეროდ, წყვილთა შორის ეს წოდება კალაშნიკოვსა და ფოგტის დუეტის საკუთრება გახდა. ქართულ-ლიხტენშტაინურმა დუეტმა ჯერ ბრიტანელებს — ნაომი ბროედისა და ჯეიდ ვინდელეის აჯობა 6:0 6:4, შემდეგ კი ვანია ტომიჩისა და ნადინა სეკერბეგოვიჩის ბოსნიური დუეტი 6:2 6:2 დაამარცხა. მეოთხედფინალში ოქსანასა და სტეფანის მეტოქეების სლოვაკები — კლაუდია ბოკზოვა და კრისტინა კუკოვა იყვნენ. კალაშნიკოვა და ფოგტი პირველ სეტში 4:2-ს იგებდნენ, როდესაც სლოვაკებმა ერთ-ერთი მათგანის ტრავმის გამო თამაში შეწყვიტეს.

ნახევარფინალში ქართულ-ლიხტენშტაინური დუეტი პირველ ნომრად განთესილ რუსებს — არინა პივოვაროვასა და არინა როდიონოვას დაუპირისპირდა. სამსეტიან ბრძოლაში ოქსანამ და სტეფანიმ 6:1 2:6 7:5 იძალეს და ფინალში გავიდნენ, სადაც მათი მეტოქეები მეორე ნომრად განთესილი შვეიცარიელები — სტეფანი ვოეგლი და ნიკოლ რიჩერი იყვნენ, რომელთაც ჩვენი ჩოგბურთელი ერთეულებშიც შეხვდა.

ერთეულებში ოქსანამ რინერს მოუგო, მაგრამ ვოერგლთან ფინალი წააგო და ჯავრი წყვილთა შორის იყარა. გადამწყვეტ შეხვედრაში მეოთხედფინალის ამბავი განმეორდა — ქართველი და ლიხტენშტაინელი პირველ სეტში 4:1-ს იგებდნენ, როდესაც შვეიცარიელებმა თამაში შეწყვიტეს და გამარჯვება და ევროპის ჩემპიონის ტიტული ოქსანა კალაშნიკოვასა და სტეფანი ფოგტს დაუთმეს.






# 6 დეკემბრის დაუმარცხებელნი

## მეივეზერი და ჰატონი შეთანხმდნენ

**მხოლოდ** სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ფლოიდ მეივეზერ-უმცროსმა პროფესიული რინგიდან წასვლაზე განაცხადა, მაგრამ ჩანს, ამ სამ თვეში მაინც ბევრი რამ შეიცვალა, რადგანაც, რაგინდარა წონაში თანამედროვეობის, ალბათ მსოფლიოს უძლიერესი მოკრივე ფიცარნაგზე ბრუნდება. მეივეზერს გეგმები ბრიტანელმა რიკი ჰატონმა შეაცვლევინა, რომელთან დაპირისპირებაც იქცა ფლოიდის რინგისკენ მოტრიალების მიზეზად. ეს ამბავი წლის მიწურულს, 6 დეკემბერს, მოხდება. მხარეებმა ყველა პრინციპულ საკითხზე მიაღწიეს შეთანხმებას და ხელი ხელს დაჰკრეს.

მეივეზერი ბრუნდება, რათა ჰატონს პასუხი აგებინოს იმ ლაქლაქზე, რასაც ბრიტანელი თვეებია, არ იშლის. ჰატონმა მეივეზერი ხოსე ლუის კასტილიოს დანოკაუტებამდეც (ეს 23 ივნისს მოხდა) არაერთხელ გამოიწვია საჩხუბრად, მაგრამ ამ ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ საერთოდ აუტანელი გახდა. ჰოდა, მეივეზერმაც ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა.

„უეჭველად დავანოკაუტებ. ამის გარანტიას ვიძლევი. მას ენა კარგად ჰქონია ნავარჯიშევი. ვნახოთ, რას იზამს, როცა საქმე მუშტებზე მიდგება. მით უმეტეს, რომ საუკეთესოს წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა" — ასეთი გაბრაზებული მეივეზერი აქამდე ცოტას თუ უნახავს.

ეს დაპირისპირება კოლოსალურ ინტერესს იწვევს და ორგანიზატორებსა და ტელეკომპანიებს დიდ მოგებას ჰპირდება. უკვე დღესვე ვარაუდობენ, რომ ამ ჯახს უფრო მეტი მაყურებელი ეყოლება, ვიდრე აქამდე რეკორდულ, 1999 წელს გამართულ სუპერ-ბრძოლას ოსკარ დე ლა ჰოიასა და ფელიქს ტრინიდადს შორის (მაშინ ტრინიდადმა მსაჯების გადაწყვეტილებით იმარჯვა).

ისე, ეს ინტერესი ვის უკვირს? ბოლოს როდის ყოფილა, რომ ერთმანეთს პროფესიულ რინგზე აქამდე დაუმარცხებელი მოკრივეები დატაკებოდნენ — მეივეზერის ანგარიშზე დღესდღეობით 38 გამარჯვებაა (აქედან 24 ნოკაუტით), ჰატონის მონაგარი კი 43 მოგებაა (31 ნოკაუტით). ასე რომ, ამ ჯახზე ფსონად არა რომელიმე კონკრეტული ქამარი, არამედ მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის ტიტული დევს.

**კახა ლომჯაშვილი**

# 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



## ალბერტო კონტადორი

**დაიბადა** 1982 წლის 6 დეკემბერს მადრიდში (ესპანეთი). ესპანეთის მოქალაქე. სიმაღლე 175-სმ. წონა 69კგ. პროფესიონალია 2003 წლიდან. გუნდები: ONCE — 2003 წელი; ლიბერტი სეგუროსი — 2004-06; ასტანა — 2006; დისქავერი — 2007.

2003 წელი: „პოლონეთის ტურზე" მოიგო ერთი ეტაპი (ინდივიდუალური რბოლა).

2005 წელი: თითო ეტაპი მოიგო „რომანდიის ტურზე", „ბასკების ქვეყნის ვუელტაზე" (ინდივიდუალური რბოლა), „კატალონიის ვუელტაზე" და „ტურ დაუნ ანდერზე". მესამე იყო „ბასკების ქვეყნის ვუელტას" საერთო ჩათვლაში; მესამე ადგილი დაიკავა „ტურ დე ფრანსზე" ახალგაზრდა მრბოლთა კლასიფიკაციაში.

2006 წელი: თითო ეტაპი მოიგო „რომანდიის ტურზე" და „შვეიცარიის ტურზე". მეორე იყო „რომანდიის ტურის" საერთო ჩათვლაში.

2007 წელი: ორი ეტაპი მოიგო „პარიზი-ნიცაზე", თითო ეტაპი მოიგო „ვალენსიის ვუელტაზე", „კასტილიისა და ლეონის ვუელტაზე", „ტურ დე ფრანსზე". „პარიზი-ნიცას" გამარჯვებული, „კასტილიისა და ლეონის ვუელტას" გამარჯვებული. „ტურ დე ფრანსის" გამარჯვებული, „ტურ დე ფრანსზე" პარალელურად მოიგო ახალგაზრდა მრბოლთა კლასიფიკაციაც.

2007 წლის „ტურ დე ფრანსზე" მოიგო ერთი ეტაპი (მე-14), ერთხელ მესამე იყო (მე-10), ერთხელ — მეოთხე (მე-9) და ერთხელ — მეხუთე (მე-19). ოთხი დღის მანძილზე, მე-17 ეტაპიდან ბოლომდე, ეცვა ლიდერის ყვითელი მაისურა.

# ჯერ კონიაკი, შემდეგ პარიზი და შამპანური

## კონტადორის ორი: ყვითელი და თეთრი

**1989 წლის** „ტურ დე ფრანსის" ბოლო ეტაპის წინ „ტურის" 1983-84 წლებში ორჯერ მომგები ფრანგი ლორან ფინიონი 32 წამით სჯობდა 1986 წლის ჩემპიონს, ამერიკელ გრეგ ლემონდს. ოღონდ, მაშინ ბოლო ეტაპი ინდივიდუალური რბოლა იყო და პარიზის ქუჩებში ლემონდმა ფინიონს 40 წამი მოუგო, ან მთლიანობაში, 8 წამით ჩამოიტოვა უკან და მეორედ გახდა „დიდი მარყუჟის" გამარჯვებული.

მას შემდეგ დაყოფილი სტარტით ინდივიდუალური რბოლა ბოლო ეტაპიდან ბოლოსწინაზე გადაიტანეს, რათა ზედ ფინიშის წინ, ასე წამებს არ გაერკვია ჩემპიონის ბედი.

მას შემდეგ წამებზე ლაპარაკი აღარც ყოფილა. ვინც იგებდა, გვარიანად იგებდა ხოლმე და აი, წლევანდელი სკანდალებით გაჯერებული „ტურის" ბედი წამებმა გადაწყვიტეს. შაბათის ინდივიდუალური რბოლა, ანუ ბოლოსწინა ეტაპი 55,5 კილომეტრზე სამ-ოთხი კილომეტრით გრძელი რომ ყოფილიყო, ვინ იცის, სულ სხვა გამარჯვებულს მივიღებდით. ისე კი, ამერიკული „დისქავერის" 24 წლის ესპანელმა მრბოლმა ალბერტო კონტადორმა 23 წამით აჯობა ბელგიური „ლოტოს" ავსტრალიელ კედელ ევანსს და 31 წამით — თავისივე ამერიკელ თანაგუნდელ ლევი ლეიფჰემერს.

ნახევარ წუთში მთელი პირველი სამეული ჩაეტია და ეს უიშვიათესი შემთხვევა გახლავთ ლეგენდარული რბოლის ისტორიაში.

არადა, ბოლოსწინა ეტაპის წინ კონტადორი ევანსს წუთითა და 50 წამით უგებდა, ხოლო ლეიფჰემერს — 2 წუთითა და 49 წამით. კონიაკიდან ანგულემამდე კი 55,5 კილომეტრი იყო გასავლელი. ანუ, იმის გათვალისწინებით, რომ 1990 წლიდან მოყოლებული, ბოლო პარიზული ეტაპი ერთგვარად საპარადო-საჩვენებელია, როდესაც ყვითელმაისურიანი მრბოლი ხელში შამპანურით სავსე ბოკლით იწონებს თავს, კონტადორს კონიაკიდან შამპანურამდე 56 არასრული კილომეტრის გაძლება და უპირატესობის შენარჩუნება ევალებოდა.

გაუძლო და შეინარჩუნა. ლეიფჰემერმა ფანტასტიკური სიჩქარე აკრიფა — საშუალოდ, საათში 53 კილომეტრზე მეტი და ასეთი ტემპით „ტურის" გზებზე დიადი ბასკის, მიგელ ინდურაინის შემდეგ არავის უვლია. ლეიფჰემერს სამწუთიანი ინტერვალით ევანსი მიჰყვა, კიდევ სამ წუთში კონტადორი დაადგა გზას და არნახული დრამატიზმით აღსავსე ბრძოლაც გაჩაღდა.

ლეიფჰემერი დროს ებრძოდა; ევანსი ცალკე იმას ცდილობდა, ამერიკელისთვის გასწრების საშუალება არ მიეცა და ცალკე თავად იღწვოდა ესპანელის გადასასწრებად. ამ უკანასკნელს კი ყვითელი მაისურა უწვავდა და, ამავდროულად უმაგრებდა ზურგს დანიელი მიქაელ რასმუსენის მოკვეთის შემდეგ ციდან ჩამოვარდნილი ლიდერობის დასაცავად.

ბოლოს ყველაფერი ისე დარჩა, როგორც იყო — წუთები წამებად იქცა, ლიდერთა შორის არსებული სხვაობა შეიკუმშა, მაგრამ აღარ შეიცვალა — კონტადორმა გაუძლო. თავის მხრივ, ევანსმაც გაუძლო ლეიფჰემერს. რამდენიმე ზედმეტი კილომეტრი აღარ იყო.

ალბერტო კონტადორი „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონია და ალალი იყოს. მისი ბრალი არ გახლავთ, მავანთა დაჟინებით ჰოლანდიურმა „რაბობანკმა" მიქაელ რასმუსენი რომ მოკვეთა რბოლიდან.

თავში ნახსენები ლორან ფინიონი ერთხელაც ვახსენოთ და 1983 წელს ამ ფრანგმა პირველად რომ მოიგო „ტური", ჯერაც ჯეელი ბიჭი იყო და გამარჯვებულის სარგო ყვითელ მაისურასთან ერთად საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლის სარგო თეთრი მაისურაც მოიპოვა. 1997 წელს მსგავსი რამ მაშინ 23 წლის გერმანელმა იან ულრიხმაც გააკეთა და აი, კიდევ 10 წელი გავიდა და 24 წლის ალბერტო კონტადორიც ორმაისურიანი ტრიუმფატორია.

უმთავრესი, ანუ ყვითელი და თეთრი მაისურები კონტადორს ერგო, მთის მეფის სარგო წითელწინწკლებიანი მაისურა კოლუმბიელ მაურისიო სოლერს დარჩა. ხოლო საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურა ბელგიელ ტომ ბოონენის საკუთრებაა.

გუშინდელი, ბოლო ეტაპი კი, პარიზში, ელისეს მინდვრებზე „ლამპრეს" იტალიელმა დანიელე ბენატიმ მოიგო, ვისთვისაც ეს მეორე გამარჯვება იყო აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ რიგით 94-ე ტურ დე ფრანსზე.



მაურისიო სოლერი და ალბერტო კონტადორი



ტომ ბოონენი

### ტურ დე ფრანსის ყველა გამარჯვებული

1903 მორის გერინი (საფრანგეთი)
1904 ანრი კორნე (საფრანგეთი)
1905 ლუი ტრუსელიე (საფრანგეთი)
1906 რენე პოტიე (საფრანგეთი)
1907 ლუსიენ პეტი-ბრეტონი (საფრანგეთი)
1908 ლუსიენ პეტი-ბრეტონი (საფრანგეთი)
1909 ფრანსუა ფაბერი (ლუქსემბურგი)
1910 ოქტავიო ლაპიზი (საფრანგეთი)
1911 გუსტავ გარიგუ (საფრანგეთი)
1912 ოდილ დეფრიე (ბელგია)
1913 ფილიპ ტისი (ბელგია)
1914 ფილიპ ტისი (ბელგია)
1915-18 არ ჩატარებულა
1919 ფერმენ ლამბო (ბელგია)
1920 ფილიპ ტისი (ბელგია)
1921 ლეონ სკიე (ბელგია)
1922 ფერმენ ლამბო (ბელგია)
1923 ანრი პელისიე (საფრანგეთი)
1924 ოტავიო ბოტიჩია (იტალია)
1925 ოტავიო ბოტიჩია (იტალია)
1926 ლუსიენ ბიუსი (ბელგია)
1927 ნიკოლას ფრანცი (ლუქსემბურგი)
1928 ნიკოლას ფრანცი (ლუქსემბურგი)
1929 მორის დევაელი (ბელგია)
1930 ანდრე ლედუკი (საფრანგეთი)
1931 ანტუან მანიე (საფრანგეთი)
1932 ანდრე ლედუკი (საფრანგეთი)
1933 ჟორჟ სპაიჩერი (საფრანგეთი)
1934 ანტუან მანიე (საფრანგეთი)
1935 რომან მაესი (ბელგია)
1936 სილვერ მაესი (ბელგია)
1937 როჟე ლაპებიე (საფრანგეთი)
1938 ჯინო ბარტალი (იტალია)
1939 სილვერ მაესი (ბელგია)
1940-46 არ ჩატარებულა
1947 ჟან რობიკი (საფრანგეთი)
1948 ჯინო ბარტალი (იტალია)
1949 ფაუსტო კოპი (იტალია)
1950 ფერი კუბლერი (შვეიცარია)
1951 ჰუგო კობლეტი (შვეიცარია)
1952 ფაუსტო კოპი (იტალია)
1953 ლუსიენ ბობე (საფრანგეთი)
1954 ლუსიენ ბობე (საფრანგეთი)
1955 ლუსიენ ბობე (საფრანგეთი)
1956 როჟე ვალკოვიაკი (საფრანგეთი)
1957 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1958 შარლ გაული (ლუქსემბურგი)
1959 ფედერიკო ბაამონტესი (ესპანეთი)
1960 გასტონ ნანინი (იტალია)
1961 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1962 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1963 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1964 ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი)
1965 ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)
1966 ლუსიენ აიმარი (საფრანგეთი)
1967 როჟე პინიონი (საფრანგეთი)
1968 იან იანსენი (ჰოლანდია)
1969 ედი მერქსი (ბელგია)
1970 ედი მერქსი (ბელგია)
1971 ედი მერქსი (ბელგია)
1972 ედი მერქსი (ბელგია)
1973 ლუის ოკანა (ესპანეთი)
1974 ედი მერქსი (ბელგია)
1975 ბერნარ ტევენე (საფრანგეთი)
1976 ლუსიენ ვან იმპი (ბელგია)
1977 ბერნარ ტევენე (საფრანგეთი)
1978 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1979 ბერნან ინო (საფრანგეთი)
1980 იოპ ზოტემელკი (ჰოლანდია)
1981 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1982 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1983 ლორან ფინიონი (საფრანგეთი)
1984 ლორან ფინიონი (საფრანგეთი)
1985 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1986 გრეგ ლემონდი (აშშ)
1987 სტივ როში (ირლანდია)
1988 პედრო დელგადო (ესპანეთი)
1989 გრეგ ლემონდი (აშშ)
1990 გრეგ ლემონდი (აშშ)
1991 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1992 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1993 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1994 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1995 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1996 ბიარნე რიისი (დანია)
1997 იან ულრიხი (გერმანია)
1998 მარკო პანტანი (იტალია)
1999 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2000 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2001 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2002 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2003 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2004 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2005 ლენს არმსტრონგი (აშშ)
2006 ფლოიდ ლენდისი (აშშ)
2007 ალბერტო კონტადორი (ესპანეთი)

შენიშვნა: 1996 წლის ჩემპიონმა ბიარნე რიისმა აღიარა, რომ დოპინგს იღებდა. ამიტომაც, „ტურის" ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით რიისის გვარი ამოღებულია ჩემპიონთა სიიდან. 2006 წლის ჩემპიონი ფლოიდ ლენდისი ბრალდებულია დოპინგის მიღებაში, მაგრამ, რადგანაც სასამართლო პროცესი არ არის დასრულებული, ლენდისის ჩემპიონობის საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

# 94-ე ტურ დე ფრანსი
## 7-29 ივლისი

| მე-19 ეტაპი. კონიაკი-ანგულემი. 56 კმ. ინდივიდუალური რბოლა | |
|---|---|
| 1. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | 1სთ 02წთ 44წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +51წმ |
| 3. ვლადიმირ კარპეცი (რუსეთი, „კაისე დეპარნი") | +1წთ 56წმ |
| 4. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | +2წთ 1წმ |
| 5. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +2წთ 18წმ |

| მე-20 ეტაპი. მარკუსი-პარიზი (ელისეს მინდვრები). 146კმ | |
|---|---|
| 1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლამპრე") | 3სთ 51წთ 03წმ |
| 2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი") | |
| 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | |
| 4. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი") | |
| 5. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | ყველას იგივე დრო |

| საბოლოო მდგომარეობა | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 91სთ 0წთ 26წმ |
| 2. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +23წმ |
| 3. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +31წმ |
| 4. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +7წთ 8წმ |
| 5. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | + 8წთ 17წმ |
| 6. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნე") | +11წთ 37წმ |
| 7. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +12წთ 18წმ |
| 8. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | +12წთ 25წმ |
| 9. მიგელ ასტარლოა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +14წთ 14წმ |
| 10. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +14წთ 25წმ |

| საუკეთესო სამთო მრბოლი | |
|---|---|
| 1. ხუან მაურისიო სოლერი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | 206 ქულა |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 128 |
| 3. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | 105 |

| საუკეთესო სპრინტერი | |
|---|---|
| 1. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი") | 256ქულა |
| 2. რობერტ ჰანტერი (სამხრეთ აფრიკა, „ბარლვორლდი") | 234 |
| 3. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | 232 |

| საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | 91სთ 0წთ 20წმ |
| 2. ხუან მაურისიო სოლერი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | +16წთ 51წმ |
| 3. არნეტს ტხურუკა (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +1სთ 13წთ 27წმ |

| გუნდური ჩათვლა | |
|---|---|
| 1. დისქავერი (აშშ) | 261სთ 39წთ 33წმ |
| 2. კაისე დეპარნი (ესპანეთი) | +19წთ 31წმ |
| 3. CSC (დანია) | +22წთ 10წმ |
| 4. რაბობანკი (ჰოლანდია) | +36წთ 14წმ |
| 5. ეუსკალტელი (ესპანეთი) | +46წთ 51წმ |

# ტურის მაისურები



ედი მერქსი

**„ტურ დე ფრანსი"** 1903 წლიდან ტარდება და მას შემდეგ ლიდერი მუდმივად ყვითელ მაისურაშია გამოწყობილი და გამარჯვებულიც, ბუნებრივია, ყვითელ მაისურაში ასრულებს რბოლას. 1933 წლიდან „ტურზე" საუკეთესო სამთო მრბოლის გამოვლენა დაიწყეს, ვისაც წითელწინწკლებიანი მაისურათი აჯილდოვებენ. მესამე, მწვანე ფერის მაისურა, რომელიც საუკეთესო სპრინტერისთვის არის განკუთვნილი, „ტურზე" 1953 წელს გამოჩნდა, ხოლო 1975 წლიდან საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლის (26 წლამდე) სარგო თეთრი მაისურაც შემოიღეს.

თითოეულ ამ კატეგორიას თავისი რეკორდსმენები ჰყავს. უმთავრესი, რა თქმა უნდა, ყვითელი მაისურაა და ყველაზე გამორჩეულიც „ტურის" შვიდგზის ტრიუმფატორი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი გახლავთ, მაგრამ არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, ფასობს დიადი ბელგიელის, ედი მერქსის 1969 წლის მიღწევა, როდესაც თავის პირველივე „ტურზე" მოგებით ხომ მოიგო და ყვითელი მაისურა ირგუნა, პარალელურად, როგორც საუკეთესო მთიელმა და საუკეთესო სპრინტერმა, არც წითელწინწკლებიანი და მწვანე მაისურები დაუთმო სხვებს.

ეს უდიდესი უნივერსალის უნიკალური შედეგია, რომელიც კარგახანს დარჩება ხელშეუხებელი. მერქსი ლიდერობს სხვადასხვა ფერის მაისურათა საერთო რაოდენობითაც — 5 ყვითელი, 3 მწვანე და 2 წითელწინწკლებიანი.

ყვითელი და წინწკლებიანი ერთად, ანუ გამარჯვებას პლუს საუკეთესო მთიელის წოდება, მერქსს 1969-70 წლებში ზედიზედ ორჯერ აქვს მოპოვებული და მას შემდეგ ასეთი რამ აღარავის გაუკეთებია. უფრო ადრე კი მსგავსი დუბლი ასევე ორ-ორჯერ აქვთ გაკეთებული ლეგენდარულ იტალიელებს — ჯოვანი ბარტალისა (1938, 1949) და ფაუსტო კოპის (1949, 1952). თითოჯერ ამის გაკეთება ბელგიელმა სილვერ მაესმა (1939) და ესპანელმა ფედერიკო ბაამონტესმაც (1959) შეძლეს.

ყვითელისა და მწვანეს კომპლექტი მერქსმა სამჯერ — 1969, 1971-72 წლებში გააკეთა და ამის შემდეგ მსგავსი რამ მხოლოდ ერთხელ, 1979 წელს მოხდა, როდესაც დიადმა ფრანგმა ბერნარ ინომ შეძლო გამარჯვებასთან ერთად საუკეთესო სპრინტერის წოდების მოპოვებაც.

ყვითელისა და თეთრის კომპლექტი კი ერთ კაცს წლეულს მესამედ გადაეცა. ახალგაზრდულ ჩათვლაში პირველობის პარალელურად, გენერალურ კლასიფიკაციაში გამარჯვება 1983 წელს ფრანგმა ლორან ფინიონმა მოახერხა, 1997 წელს — გერმანელმა იან ულრიხმა და აი, წლეულს იგივე ალბერტო კონტადორმაც გააკეთა.

## რეკორდსმენები

**ყვითელი მაისურა**: 7 — ლენს არმსტრონგი (აშშ); 5 — ჟაკ ანკეტილი (საფრანგეთი), ედი მერქსი (ბელგია), ბერნარ ინო (საფრანგეთი), მიგელ ინდურაინი (ესპანეთი).

**წითელწინწკლებიანი მაისურა**: 7 — რიშარ ვირანკი (საფრანგეთი), 6 — ფედერიკო ბაამონტესი (ესპანეთი), ლუსრიენ ვან იმპი (ბელგია).

**მწვანე მაისურა**: 6 — ერიკ ტაბელი (გერმანია), 4 — შონ კელი (ირლანდია).

**თეთრი მაისურა**: 3 — იან ულრიხი (გერმანია), 2 — მარკო პანტანი (იტალია



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

# ფორმულამ მანი კური ვერ დათმო
## მინუს ამერიკა, პლუს სინგაპური და ვალენსია

**მსოფლიოს** წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის ფინიშამდე შვიდი ეტაპია დარჩენილი, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციამ კი უკვე გამოაქვეყნა 2008 წლის წინასწარი კალენდარი.

გაისად წლევანდელზე ერთით მეტი, 18 რბოლა გაიმართება. დიდი მოულოდნელობაა საფრანგეთის გრან პრის შენარჩუნება პროვინციულ ნევერში, „მანი კურის" ავტოდრომზე, რადგან ერთი თვის წინათ საკითხი გადაწყვეტილი ჩანდა:

— მანი კურის ტრასას მომავალი არა აქვს. 2007 წლის რბოლა ამ ავტოდრომზე უკანასკნელი იქნება — განაცხადა ფორმულა 1-ის მმართველ-გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმა ფინანსურად ზარალიანი ფრანგული ეტაპის წინ. მაგრამ საქმეში პოლიტიკა და, ეტყობა, ფულიც ჩაერია და კალენდრის გამოქვეყნებამდე სამი დღით ადრე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ფრანსუა ფიიონთან შეხვედრა-მოლაპარაკების შემდეგ ეკლსტოუნმა აზრი საპირისპიროდ შეიცვალა.

— ბატონ ეკლსტოუნთან მიღწეულია პრინციპული შეთანხმება მანი კურში ფორმულა 1-ის რბოლის ჩატარებაზე 2008 და 2009 წელსაც კი, თუ იმ დროისთვის ალტერნატიული ვარიანტი არ გამოიძებნება — ეს მუსიე ფიიონის წარმომადგენლის განცხადებაა.

გამოდის, რომ „სამეფო რბოლებს" მხოლოდ აშშ-ის დიდი პრიზი მოაკლდა, რაკი ინდიანაპოლისის „მოტორ სპიდვეის" მფლობელმა ტონი ჯორჯმა უარი თქვა „მისტერ მილიარდ" ბერნისთვის წინანდელზე მეტი თანხის გადახდაზე.

სამაგიეროდ, 2008 წელს ორ ახალ ეტაპს ვიხილავთ — ვალენსიასა და სინგაპურში. ორივე რბოლა ამ ქალაქების ქუჩებში გაივლის, ამასთან სინგაპურში — ღამე, ხელოვნური განათებისას. ვალენსია ევროპის გრან პრის უმასპინძლებს „ნიურბურგრინგის" ნაცვლად,

პრობლემა იყო ევროპიდან ყველაზე დაშორებულ ავსტრალიურ ეტაპთან, რადგან ფორმულის ბევრ კონტინენტელ ფანებს ღამის გატეხვა უწევდათ მელბურნის ქუჩებში ჯირითის „ცოცხლად" საყურებლად. ეკლსტოუნს სურდა, ეს რბოლაც პროჟექტორების ქვეშ ჩატარებულიყო, მაგრამ რაკი ამის ორგანიზება ძნელი აღმოჩნდა, კომპრომისი გამონახა — მწვანე კონტინენტის დიდი პრიზისთვის ბრძოლას „სამეფო" პილოტები ჩვეულებრივზე ორი საათით გვიან დაიწყებენ, ასე რომ, ევროპაში გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ, ფორმულას საუზმესთან ერთად „შეექცნენ".

კიდევ ორ საგაისო ცვლილებაზე: თურქული ეტაპი აგვისტოს ნაცვლად მაისში ჩატარდება, ხოლო ჩემპიონატი წლევანდელზე ორი კვირით გვიან, ორ ნოემბერს დასრულდება.

**გია ახალაძე**




**2008 წლის წინასწარი კალენდარი**

| თარიღი | ეტაპი | ქალაქი |
|---|---|---|
| 16 მარტი | ავსტრალია | მელბურნი |
| 23 მარტი | მალაიზია | კუალა ლუმპური |
| 6 აპრილი | ბაჰრეინი | მანამა |
| 27 აპრილი | ესპანეთი | ბარსელონა |
| 11 მაისი | თურქეთი | სტამბოლი |
| 25 მაისი | მონაკო | მონტე კარლო |
| 8 ივნისი | კანადა | მონრეალი |
| 22 ივნისი | საფრანგეთი | ნევერი |
| 6 ივლისი | დიდი ბრიტანეთი | სილვერსტოუნი |
| 20 ივლისი | გერმანია | ჰოკენჰაიმი |
| 3 აგვისტო | უნგრეთი | ბუდაპეშტი |
| 24 აგვისტო | ესპანეთი (ევროპა) | ვალენსია |
| 7 სექტემბერი | იტალია | მონცა |
| 14 სექტემბერი | ბელგია | სპა |
| 28 სექტემბერი | სინგაპური | სინგაპური |
| 12 ოქტომბერი | ჩინეთი | შანხაი |
| 19 ოქტომბერი | იაპონია | ფუძი |
| 2 ნოემბერი | ბრაზილია | სან პაულუ |

# ოსლეიდის-მისლეიდისიანი

## კუბური სიგარასავით მძაფრი და ხარისხიანი

**რიო დე ჟანეიროში** გრძელდება პანამერიკული თამაშები, სადაც პანამის ზემო და ქვემო, ანუ სრულიად ამერიკა კონტინენტური მინი-ოლიმპიადის ფერხულშია ჩაბმული.

მთავარი ვნებები მძლეოსანთა განაკვეთზე დუღს და რიოში ისეთი ქვეყნის წარმომადგენლებიც კი ჩანან, რომელთა სახელებიც კი არ გვსმენია. მაგრამ თავისთავად წარმატებებით ყველაზე ხმამაღლა ყვირიან ტრადიციულად მძლავრი სამძლეოსნო ქვეყნები.

კუბა ოდითგანვე განთქმულა ფეხმალი მორბენლებით, ფეხზამბარა მხტუნავებით და მკლავმაგარი მტყორცნელ-მკვრელებით, მაგრამ კუბელთა დელეგაციამ რატომღაც რიოში პირველ ოთხ დღეს ერთი ოქროც ვერ მოიპოვა. თუმც, კუბელებმა წინა დღეების დანაკარგები ერთბაშად პარასკევს და შაბათს შეივსეს. განსაკუთრებით ბარაქიანი გამოდგა პარასკევი, როცა ფიდელის ქვეშევრდომებმა ერთბაშად 5 ოქრო (!) მოინაგრეს. აქედან 4 ქალებზე მოდის. სუსტი სქესის ძლიერ წარმომადგენლების მოპოვებულ ოქროებს კაცური მიამატა სიმაღლეზე მხტომელმა ვიქტორ მოიამ, რომელმაც 2,32-მეტრიანი სიმაღლე დაიპყრო. ქალთა ოთხეული კი ასე გამოიყურება: ოსლეიდის მენენდესი (შუბი, 62,34), მისლეიდის გონსალესი (ბირთვი, 18,83), იარგელის სავინე (სამხტომი, 14,80) და როქსანა დიასი (200 მ, 22,90).

ოსლეიდის მენენდესი კარგა ხანია, შუბის ტყორცნაში პირველ ქალად ითვლება პლანეტაზე: მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და რეკორდის მპყრობელიც გახლავთ. ამასთან მას პანამერიკული თამაშები 1999 წელსაც მოუგია, მაგრამ ბოლო ხანს ტრავმებმა შეუტია და ხალხმა ჩურჩული დაიწყო, მისი ნატყორცნი შუბები ისე შორს აღარ ესობა, როგორც ადრეო. მაგრამ რიოში ოსლეიდისმა ყველა ჩააჩუმა — 5-დან 3 ცდა 60 მეტრს გადააცილა და თითქმის ორი მეტრით აჯობა უახლოეს მდევარს, სხვათა შორის, კიდევ ერთ კუბელ სონია ბისეტს. მესამე იყო ბაჰამელი ლოვერნ ევე, რომელიც არც მეტი, არც ნაკლები, 42 წლისა გახლავთ და მიუხედავად იმისა, რომ მანამდე კიდევ სამი პანამერიკა აქვს შუბით დაჩხვლეტილი, მედალი ახლა, მეოთხეზელა შეხვდა ერთი მარჯვე, 58,10-მეტრიანი ნატყორცნის წყალობით.



ოსლეიდის მენენდესი

ოსლეიდის მენენდესის დარად, დამაჯერებლად იმარჯვა მისლეიდის გონსალესმა, რომელმაც ბირთვი 18,83 მეტრზე დასცა. გამარჯვებულის ბედი გარკვეული იყო, მეორეობისთვის კი კიდევ ერთი კუბელი (წალეკეს კუბელებმა რიო) იუმილეიდი კუმბა და ტრინიდადელი კლეოპატრა ბორელ-ბრაუნი შეიბნენ. იუმილეიდიმ 6 სანტიმეტრით აჯობა კლეოპატრას და პოდიუმზე მარჯვენა მხარე დაუშვენა მისლეიდისს.




დუეინ რობლესი

პარასკევს გამოსულთაგან აღნიშვნის ღირსია მექსიკელი სტაიერი ხოსე დავიდ გალვანი, რომელმაც 10-კილომეტრიანი გარბენი მოიგო და გახდა მეშვიდე მექსიკელი, რომელმაც 15 პანამერიკულ თამაშებზე დაიპყრო ეს დისტანცია.

პარასკევს აღებული ტემპი კუბელებმა შაბათსაც არ დააგდეს და ოქრო-ვერცხლის ხვეჭა დიდი მონდომებით გააგრძელეს. ოსლეიდის მენენდესს მხარი აუბა და შუბის ტყორცნაშიც კუბას დაუვანა გამარჯვება გილერმო მარტინესმა. მართალია, მან მხოლოდ 77,66 მეტრზე ტყორცნა შუბი, ამით წარბსაც ვერ შეახრევინებს გაცილებით მძლავრ ჩრდილოევროპელ კოლეგებს, მაგრამ პატარა კაცია და მნიშვნელობით ამ მომცრო ტურნირის მედალიც ყოფნის ბედნიერებისთვის.

გილერმო მარტინესთან ერთად კლუბელებმა შაბათს სულ ოთხი ოქრო მოიპოვეს და ორ დღეში 9 მოუგროვდათ. იყოჩაღეს 800 მეტრზე მორბენალმა კაცმა იერმარ ლოპესმა (1.44,58), 4X100 მეტრზე ესტაფეტაზე მორბენალმა ქალთა კვარტეტმა (3.27,51) და კაცებში 110 მეტრზე თარჯმორბენალმა დეირონ რობლესმა. ეს უკანასკნელი წლეულს კუბური სიგარის მძაფრი სურნელივით შემოიჭრა სამძლეოსნო სამყაროში და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, ტურნირების საპატიო რაოდენობით მოგებაც მოასწრო. რიოში რობლესმა იოლად ჩამოიტოვა ყველა — 110 მეტრი 13,25 წამში გალია და ამერიკელ დევიდ პეინს ფინიშთან 0,18 წამით მიასწრო.

**კოტე ყორშია**

# ავაზას კლანჭი არ უცვდება

**ესპანელები** ბევრს ცდილობენ, ერთ-ერთი თავიანთი ტურნირისთვის გრან-პრის სტატუსი დასტყუონ იააფ-ს, მაგრამ ამაოდ. სარაგოსას ტურნირს დაარქვეს „გრან პრემიო“ და ამით თუ იოხებენ გულს.

სარაგოსას „გრან პრემიო“ წლეულს მეოთხედ გაიმართა და მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი ცნობილი მძლეოსანი ჩავიდა, ეს ტურნირი მაინც შორს დგას ნამდვილი გრან პრისგან.

სარაგოსაში ირბინა 25 წლის ასაკშივე „დიდად“ ქცეულმა ეთიოპიელმა კენენისა ბეკელემ. იგი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონია 10 კილომეტრზე სირბილში, მაგრამ მარტში კროსის მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმა რომ მიიღო, მას შემდეგ 10 კილომეტრზე კი არ დარბის, არამედ გაურბის მას. აგვისტოში ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ის ალბათ დაიცავს თავის ტიტულს ამ დისტანციაზე, მაგრამ მოსამზადებელ პერიოდში შედარებით მოკლე დისტანციებს „ზვერავს“. ამ ზაფხულს მან პირველად გადაწყვიტა 3 კილომეტრიდან „ამოსვლა“ და სარაგოსაში 5-კილომეტრიან გზას შეუდგა. არც უნანია. პირიქით, 12.49,53 შედეგით მოიგო და ერთგვარი რეკორდიც შეხვდა: ესპანეთში არც ესპანელს და არც ჩასულს არასდროს გაურბენია ეს მანძილი ასე სწრაფად.

კენენისა კაცთა შორის იპყრობდა ყურადღებას, ქალებში კი გაიბრწყინა მოზამბიკელმა მარია მუტოლამ. მის მეტსახელს „შავ ავაზას“ თავისუფლად შეგვიძლია „ბებერიც“ ჩავუმატოთ და ამით არაფერი დაშავდება. სათქმელი ისაა, რომ მუტოლა ასაკშეპარულიც კი კლანჭებაბასრულ ავაზასავით სწრაფია. სარაგოსაში მან თავისი 800-მეტრიანი საფირმო დისტანცია 1.58,21 შედეგით გაიფეხმარდა და სეზონის რეკორდიც გამოაცხო.

სიცხით და უნალექობით „განთქმულ“ სარაგოსაში ტურნირის დღეს გვარიანად გრილოდა. 22 გრადუსი სითბო ამ გლობალური დათბობით გულშეწუხებულ დროებაში შუაგული ესპანეთისთვის ბუნების ნამდვილი საჩუქარია და კარგი შედეგებიც ამის შედეგია. მცირედი ქარიც კი უბერავდა და აგრილებდა მონაწილეთა გადახურებულ სხეულებსა და სუნთქვას. სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა დუაიტ ფილიპსმა ისარგებლა იმით, რომ დღესდღეობით მისი აშკარად მჯობნი პანამელი ირვინგ სალადინო რიო დე ჟანეიროში პანამერიკულ თამაშებზე დახტის და 8,37-მეტრიანი ნახტომის წყალობით 11 სანტიმეტრით მოუგო ალჟირელ ისამ ნიმას, სხვებს კი მეტითაც.

ქარი განსაკუთრებით მაშინ გაძლიერდა, როცა სტარტზე 100 მეტრზე მორბენლები განლაგდნენ და ამ ზურგქარის წყალობით ისეთი შედეგები აჩვენეს, ნორმალურ პირობებში რომ შემდგარიყო, ეს გარბენი ისტორიაში მოხვდებოდა. თავად განსაჯეთ: იამაიკელმა სტივ მულინგსმა 100 მეტრი 9,91 წამში დაფარა. შემდეგ მოდიან კლემენტ კემპბელი (9,92), ჯოშუა ჯონსონი (9,92), მაიკლ ფრატერი (9,95), მიკი გრიმსი (9,99), ფრანსის ობიკველუ (9,99)... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და რვიდან ერთბაშად ექვსი მორბენალი „ჩაჯდა“ 10 წამში, რაც ნამდვილად უნიკალური მოვლენაა. მაგრამ აქვე ვახსენოთ 3,7-მეტრწამიანი მძლავრი ზურგქარი, რომელმაც პირდაპირ გააფრინა მორბენლები. ისიც ვთქვათ, რომ ლეგალურია 2,0 მ/წმ ზურგქარი, უფრო ძლიერ ქარში კი რეკორდები და შედეგები არ რატიფიცირდება.

აუცილებლად სათქმელია ლიტველი ბადროს მტყორცნელის ვირგილიუს ალეკნას დაუმარცხებელი სვლა. სარაგოსა წლეულს მისი მე-13 ტურნირი იყო და მე-13 გამარჯვება მოიპოვა კიდეც — ბადრო 71,56 მეტრზე დასცა და 64 სანტიმეტრით აჯობა ესტონელ გერდ კანტერს.




**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა 30 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| 21:00 | 188 | ლანდსკრონა-მიალბი | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| 21:00 | 189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| 21:00 | 190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 21:00 | 191 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 22:45 | 192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 30 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 85 | ნანტი-რეიმსი | 1.60 | 3.40 | 5.50 | 1.08 | 1.23 | 2.10 |
| | | დანია. სუპერლიგა 30 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა 30 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| | | შვედეთი ალსვენსკა 30 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 177 | ჰალმსტადი-გაის | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 178 | კალმარი-გეფლე | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10085 | ნანტი-რეიმსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10177 | ჰალმსტადი-გაის | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10178 | კალმარი-გეფლე | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10188 | ლანდსკრონა-მიალბი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10191 | სირიუსი-დეგერფორსი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11085 | ნანტი-რეიმსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11146 | ესბიერგი-ორჰუსი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11177 | ჰალმსტადი-გაის | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11178 | კალმარი-გეფლე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11188 | ლანდსკრონა-მიალბი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11191 | სირიუსი-დეგერფორსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12085 | ნანტი-რეიმსი | 1.65 | 1.90 |
| 12146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.90 | 1.60 |
| 12177 | ჰალმსტადი-გაის | 1.80 | 1.70 |
| 12178 | კალმარი-გეფლე | 1.90 | 1.60 |
| 12187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 1.90 | 1.70 |
| 12188 | ლანდსკრონა-მიალბი | 1.90 | 1.60 |
| 12189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 2.00 | 1.55 |
| 12190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 1.90 | 1.60 |
| 12191 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.90 | 1.60 |
| 12192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 1.90 | 1.60 |
| 12421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 2.00 | 1.55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14085 | ნანტი-რეიმსი | 1.30 | 2.50 |
| 14146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.30 | 2.50 |
| 14177 | ჰალმსტადი-გაის | 1.45 | 2.40 |
| 14178 | კალმარი-გეფლე | 1.45 | 2.40 |
| 14187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 1.80 | 2.00 |
| 14188 | ლანდსკრონა-მიალბი | 1.75 | 2.10 |
| 14189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.20 | 2.60 |
| 14190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 1.45 | 2.40 |
| 14191 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.45 | 2.40 |
| 14192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 1.65 | 2.30 |
| 14421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.65 | 2.30 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15085 | ნანტი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ესბიერგი-ორჰუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ჰალმსტადი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | კალმარი-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15188 | ლანდსკრონა-მიალბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15191 | სირიუსი-დეგერფორსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე
(ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16085 | ნანტი-რეიმსი | 1.22 | 3.40 |
| 16146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.17 | 4.10 |
| 16177 | ჰალმსტადი-გაის | 1.24 | 3.60 |
| 16178 | კალმარი-გეფლე | 1.23 | 3.60 |
| 16187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 1.55 | 2.20 |
| 16188 | ლანდსკრონა-მიალბი | 1.52 | 2.20 |
| 16189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.12 | 4.60 |
| 16190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 1.23 | 3.60 |
| 16191 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.23 | 3.60 |
| 16192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 1.32 | 3.00 |
| 16421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.32 | 3.00 |

## გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2
(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17085 | ნანტი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ჰალმსტადი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17178 | კალმარი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ფალკენბერგი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17188 | ლანდსკრონა-მიალბი | 1.85 | 1.95 |
| 17189 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 1.85 | 1.95 |
| 17190 | იორგრიტე-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | სირიუსი-დეგერფორსი | 1.85 | 1.95 |
| 17192 | სუნდსვალი-ატვიდაბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17421 | ლინი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 1.95 |

# გიგზი სენტიმენტალური არ არის




**რაიან გიგზს** ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს. ამით ის და მისი თანაგუნდელები მეტ ბასბის ლეგედარული „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხსოვნას მიუნხენის ავიაკატასტროფის 50 წლისთავზე დიდ პატივს მიაგებდნენ.

1958 წლის ტრაგიკულ მოვლენათა იუბილისათვის საკუთრივ კლუბის ხელმძღვანელებსაც აქვთ დასახული გეგმები, თუმცა გიგზი აცხადებს, რომ ყველაზე დიდი აღნიშვნა, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება იქნება.

33 წლის უელსელი ამბობს: „საიუბილეოდ გამარჯვება მართლაც დაუჯერებელი და დაუვიწყარი რამ იქნებოდა. ყველამ კარგად იცის, რასაც ნიშნავდა ჩვენი კლუბისთვის ბასბის ერა, რა წვლილიც შეიტანა იმ გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში და რა მოხდა მიუნხენში 1958 წელს. „იუნაიტედის“ ნებისმიერმა ახალწვეულმა იცის კლუბის წარსული და ის, რომ მეტ ბასბის გუნდს ამ წარსულში უდიდესი ადგილი უჭირავს. დღეს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ მთელს მსოფლიოში მილიონობით გულშემატკივარი რომ ჰყავს, მაშინდელი ეპოქიდან მოდის“.

1958 წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა თასის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი გახლდათ. 6 თებერვალს გუნდი ბელგრადიდან შინ ბრუნდებოდა. ბელგრადში მანჩესტერელებმა სწორედ ჩემპიონთა თასზე ითამაშეს „ცრვენა ზვეზდასთან“. უკანა გზაზე თვითმფრინავმა შემოლეული ბენზინი მიუნხენში ჩაასხა, მაგრამ აფრენის დროს ავარია შეემხვა და 23 მგზავრი დაიღუპა, მათ შორის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 8 ფეხბურთელი. მათ შორის იყო ინგლისელთა ხსოვნას საგანგებოდ შემორჩენილი დანკან ედუარდსი, რომელსაც ქვეყნის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელსაც კი უწოდებენ.

ავიაკატასტროფას გადაურჩა მაშინ 20 წლის ბობი ჩარლტონი.

სერ ბობიმ მას მერე, მოგეხსენებათ, დიდი კარიერა განვლო და „მანჩესტერ იუნაიტედის“ რეკორდი დაამყარა — 759 მატჩი. დღეს, რაიან გიგზს ჩარლტონის რეკორდის გამეორებამდე 44 თამაში აკლია.

მეორე მხრივ, „მანჩესტერ იუნაიტედში“ გატარებული წლების რაოდენობით გიგზს ვერავინ შეედრება და ტიტულებითაც სწორედ ის არის ყველაზე წინ. კონტრაქტმა, რომელიც ვეტერანმა უელსელმა მანჩესტერელებთან ახლახან გააფორმა, იგი „ოლდ ტრაფორდის“ სამყაროში 2008-09 წლების სეზონის ბოლომდე დატოვა, ხოლო ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ სამსახურზე შეუძლია, არ იზრუნოს — „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარი მისთვის არასდროს დაიკეტება.

დღეს რაიან გიგზი ამბობს, რომ მისი კარიერის სწორად და წარმატებით განვითარებაში უდიდესი როლი ზემოთ ნახსენებმა სერ ბობი ჩარლტონმა ითამაშა.

„მას მერე, რაც 13-14 წლისა მოვიყარე, სერ ბობი ჩემს გვერდითაა — ამბობს გიგზი — ის მუდმივად მოდიოდა ბავშვთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდების თამაშების სანახავად. ის ამას ყოველთვის აკეთებდა და აკეთებს. იცით, როდესაც ასეთი ადამიანი და ვარსკვლავი გვერდით გყავს, ხვდები, რომ კარგ ადგილას მოხვდი და კარიერა სწორად მიგყავს, ეს კი დიდი ფსიქოლოგიური ბიძგი და მხარდაჭერაა. ვფიქრობ, სწორედ სერ ბობის ნაირი ადამიანების გამო უნდათ ახალგაზრდებს „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოხვედრა. რაც შეეხება იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მე შეიძლება მისი რეკორდი მოვხსნა, ამაზე საუბარი არ მსურს. დაე, ჯერ მოვხსნა და ლაპარაკით, მოდით, მერე ვილაპარაკოთ. იცით, სანაკრებო ფეხბურთიდან წასვლით, ვფიქრობ, გაცილებით მეტი ძალ-ღონე დამეზოგება და ალბათ, მართლა შევძლებ მოედანზე უფრო ხშირად გასვლას. ერთი სიტყვით, დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება“.

რაიან გიგზი მიიჩნევს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კიდევ ძალუძს ჩემპიონთა ლიგის მოგება. მოგეხსენებათ, გიგზის მონაწილეობით გუნდმა 1999 წელს გაიმარჯვა ევროპის უდიდეს საკლუბო შეჯიბრებაში, ბობ ჩარლტონი კი 1968 წელს გახლდათ გამარჯვებული „მანჩესტერის“ კაპიტანი.

„99-ის გამარჯვების შემდეგ ჩემპიონთა თასის კიდევ ერთხელ მოგებამდე ყოველთვის ერთი ნაბიჯი გვაკლდებოდა. ხან ისე კარგად ვერ ვთამაშობდით, ხან ტრავმები გვიშლიდა ხელს. არადა, იმისთვის რომ გაიმარჯვო, ყველაფერი შენს სასარგებლოდ უნდა დალაგდეს, ჩვენ კი ასეთი რამ აგერ, უკვე რვა წელიწადია, აღარ გვღირსებია“.

მოგეხსენებათ, გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონი გახდა, რაც რაიან გიგზისთვის პრემიერლიგის მეცხრე ტიტული გახლდათ, მაგრამ უელსელი ის კაცი არ არის, წარსულის წარმატებებს რომ მისტირის და მათი მოგონებით იცხოვროს.

„ის მედლები კლუბის მუზეუმშია, მე კი სენტიმენტალური ადამიანი არ გახლავართ და მათ არ მივტირი. ცხადია, როცა ამ წარმატებებს მოვიგონებ, ვიამაყებ, მაგრამ წინ ჯერ კიდევ მეათე ან სულაც მეთერთმეტე წარმატება მელის“.

**ბაჩუნა ძიდია**

# სოლიდარობა სპილოს



**მიკაელ სილვესტრმა** „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფებს მკვახედ მოუჭრა, მე თქვენი სატრანსფერო პოლიტიკა არ ვიცი, „ნიუკასლ იუნაიტედში“ ცოცხალი თავით არ წავალო. მიზეზი: სილვესტრს კატეგორიულად არ სურს ჯო ბარტონთან ერთად თამაში.

რა დაუშავა ბარტონმა სილვესტრს? პირადად მას არაფერი, მაგრამ მის უახლოეს მეგობარს, „მანჩესტერ სიტის“ ფრანგ მოთამაშეს ოსმან დაბოს, ჰაი, ჰაი, რომ დაუშავა: გასულ სეზონში, როდესაც დაბო და ბარტონი „სიტიში“ თანაგუნდელები იყვნენ, ბატრონმა ვარჯიშზე დაბო ისე სცემა, რომ ეს უკანასკნელი საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. მერე დაბო ჩიოდა, ისეთი ნაცემი ვიყავი, რომ შემოგეხედათ სპილო მოგაგონდებოდათო.

სხვათა შორის, იმ ინციდენტის შემდეგ — მაშინ საქმეში პოლიციაც კი ჩაერია და რამდენადაც ცნობილია, ძიება დღემდე არ დამთავრებულა — ბარტონს „სიტიში“ აღარ უთამაშია. ახლა, ივნისში „ნიუკასლმა“ ბარტონი შეიძინა, ივლისში კი სილვესტრიც მოუნდა... „კაჭკაჭებმა“ ბარტონში 5,8 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

სილვესტრის კატეგორიულობა არაფრად აწყობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც ალექს ფერგიუსონს, რომელსაც ფრანგის გაყიდვა და მის სანაცვლოდ აღებული ფულის დატრიალება ეჩქარება. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს, რომ ფერგიუსონი ყველა ღონეს იხმარს, რათა სილვესტრი „ნიუკასლში“ გადასვლაზე დაიყოლიოს.

**ბაჩუნა ძიდია**

## პატოს ლეონარდო ჩააკითხავს

**შუა** აგვისტოში „მილანი“ „ინტერნასიონალიდან“ ალეშანდრე პატოს იყიდის — წერს „კორიერე დელო სპორტი“.

გაზეთის ცნობით, გარიგება 10-15 აგვისტომდე შედგება. „მილანის“ სატრანსფერო საქმეების ერთ-ერთი გამგე ლეონარდო, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ნიჭიერი ფეხბურთელების ძებნითაა დაკავებული, ამ კვირის ბოლოს ბრაზილიაში ჩავა და იქაურ „ინტერთან“ პირობებს შეათანხმებს.

## უხელფასო სპორტინგში

„**კორიანთიანსის**“ ბრაზილიელი მცველი პედრო სილვა ლისაბონის „სპორტინგში“ გადავიდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელს 2005-ში პორტუგალიურ „აკადემიკაშიც“ უთამაშია.

მან „კორიანთიანსთან“ კონტრაქტი გაწყვიტა, რადგან რამდენიმე თვის ხელფასი არ მიუღია.

„მიხარია, რომ ისევ ევროპაში დავბრუნდი. „სპორტინგმა“ კარგი პირობები შემომთავაზა და იმ არეულობაში ველარ გაჩერდებოდი“ — თქვა პედრო სილვამ.

## მილანი პორტუს დაცვაში

**სერბეთის** ნაკრების მცველი მილან სტეპანოვი „პორტუმ“ „ტრაბზონისგან“ იყიდა. 24 წლის ფეხბურთელმა ოთხწლიან გარიგებას მოაწერა ხელი.

„ეს საუკეთესო მომენტია ჩემს კარიერაში“ — ხარობდა სტეპანოვი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

მან „პორტუში“ პეპე უნდა შეცვალოს, რომელიც „რეალმა“ 30 მილიონ ევროდ შეიძინა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ხელფასთა ტერ-მინატორი

**ასე** და ამგვარად, ჯონ ტერიმ „ჩელსისთან“ ახალ, 35-მილიონგირვანქიან კონტრაქტს ხელი მოაწერა და პრემიერლიგის ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელი გახდა. ხელშეკრულება, რომელიც კვირას უკვე ოფიციალურად გაფორმდა, ხუთწლიანია. მის თანახმად, 26 წლის ვარსკვლავი კვირაში 135 ათას გირვანქას მიიღებს.

და ფრენკ ლამპარდი? განა ისე არ ჩამოყალიბდა, რომ მთელს მსოფლიოში გულშემატკივრები ტერის ხსენებაზე ლამპარდის ამბავს კითხულობენ და პირიქით. ასეა ამჟამადაც. ის კი არა და, საკუთრივ „ჩელსის“ შეფებიც ამ სტერეოტიპით მოქმედებდნენ და რაც ტერის 5 წლით შესთავაზეს, იმავეს სთავაზობდნენ ლამპარდს 7 წლით. როგორც ჩანს, რომან აბრამოვიჩსა და მის გუნდს ტერი-ლამპარდის წყვილისთვის თანაბარი და სარფიანი პირობების შექმნა სურდათ, მაგრამ... ლამპარდმა „ჩელსის“ ბოსები გააბრაზა — ინგლისელი ნახევარმცველი ამ პირობაზეც უარსაა და აცხადებს, რომ „ლურჯებთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმება არ სურს. რაშია საქმე? ნუთუ, ლამპარდს „ბარსელონაში“ გადასვლის პერსპექტივა მართლა ასე ხიბლავს? ნუთუ მისი კატალონიელი ცოლის გავლენა ასე ძლიერია?

როგორც ჩანს, ასეა, მაგრამ ჯერჯერობით, მოდით, ტერის ამბავი მოვათავოთ, მით უფრო, რომ ტერის „ჩელსიში“ დაპირდნენ, ამ ხუთი წლის განმავლობაში შენზე მეტ ხელფასს ვერავინ მიიღებსო. აღსანიშნავია, რომ ეს დაპირება „ლურჯთა“ შეფებმა ზეპირად კი არ წარმოსთქვეს, არამედ იურიდიულად გააფორმეს.

„ბედნიერი ვარ, ჩემი ტრანსფერის საკითხი რომ მოგვარდა — თქვა ტერიმ კონტრაქზე ხელმოწერის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას — ვიცი, რომ ყოველივე ამის შესახებ უამრავი ჭორი დაირხა, ერთი ხმა მეორეს მოსდევდა, მაგრამ ასეთი საკითხების მოგვარება დროს მოითხოვს. მთავარი ის გახლდათ, რომ ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გამჩენია ეჭვი — მე „ჩელსიში“ დარჩენა მინდოდა და „ჩელსის“ ჩემი დატოვება სურდა. იმედი მაქვს, ფანები კარგად ხედავენ, რომ აქ რაღაც განსაკუთრებულის შექმნა გვინდა. ეს რაღაც ახლა ამოქმედდება და შორეულ მომავალშიც იმოქმედებს, ხოლო ამ ყველაფრის ნაწილი მეც უნდა ვიყო. მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში „ჩელსის“ ფეხბურთელი გახლავართ და წილად მისი კაპიტნობის ბედნიერებაც კი მხვდა. ახლა დროა, მომავალ სეზონზე დავიწყოთ ფიქრი. ამ სეზონში ხომ სერიოზული გეგმები გვაქვს“.

ლონდონელთა კლუბის აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი:

„ჩვენ მოწადინებულნი ვართ, ჩვენს ფეხბურთელებს, რაც შეიძლება, ხანგრძლივი კონტრაქტები გავუფორმოთ. ჯონი კი ჩვენი კაპიტანი, უმნიშვნელოვანესი ფიგურა და ნამდვილი სიმბოლოა“.

შეგახსენებთ, რომ ტერის წინა კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე ორი წელიწადი ჰქონდა დარჩენილი, ახლა კი სულ სხვა ვითარებაშია, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, არ ჰგონია, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაში გარანტირებული აქვს. ის მცველია, დაცვაში კონკურენციის გასაძლიერებლად კი ლონდონელთა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ „ბოლტონიდან“ ახალი ფეხბურთელი ტალ ბენ-ჰაიმი იყიდა.

სხვათა შორის, ჯონ ტერიმ ამერიკის შეერთებულ შტატებში სეზონისწინა შეკრებაზე ყოფნისას ფეხის თითი იტკინა, მაგრამ იმედოვნებს, რომ ტკივილი 5 აგვისტომდე უკვალოდ გაუქრება, 5 აგვისტოს კი „ჩელსი“ „ჩერითი შილდად“ წოდებულ ინგლისის სუპერთასზე როგორც ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი, ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება.

**ბაჩუნა ძიდია**

# საიდუმლო სეროზა

**ამბობენ,** რომ ეს დრამატული მომენტია: „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი და კლუბის ყოფილი ვიცე-თავმჯდომარე დევიდ დინი, რომელიც „მეთოფეთა“ ახალმა მეპატრონემ თანამდებობიდან დაიფრინა, ერთად ნახეს რესტორანში. ეს ამბავი გასულ ხუთშაბათს მომხდარა. რესტორანი, როგორც ყვითელი ინგლისური პრესა იუწყება, ჩრდილო ლონდონში, უეტსტოუნში მდებარე The Rotisserie ყოფილა.

როგორც ამ შეხვედრის მოწმეები ამბობენ, ვენგერი და დინი მეტწილად „არსენალზე“ ლაპარაკობდნენ. ეს აშკარად ბიზნეს-სადილი იყოო, უთქვამს ერთს.

არ არის გამორიცხული, ამ შეხვედრის ამბავმა გუნება გაუფუჭოს „არსენალის“ ახალ თავმჯდომარეს პიტერ ჰილ-ვუდსა და მის გუნდს, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ვენგერი ახალ კონტრაქტზე დაიყოლიონ.

„ვენგერი რესტორანში საღამოს რვის ნახევრისთვის მივიდა და მოშორებით, კუთხეში ორ კაცზე შეუკვეთა მაგიდა — თქვა კიდევ ერთმა თვითმხილველმა — თხუთმეტ წუთში დინიც მოვიდა. ვენგერი არ წამომდგარა. დინი წინ დაუჯდა და, მართალია, გაუღიმა, მაგრამ შემდეგ მათ შორის საკმაოდ დაძაბული საუბარი გაიმართა. დინმა რამდენჯერმე ტიერი ანრი ახსენა“.



დევიდ დინი და არსენ ვენგერი

ამბობენ, რომ 18 აპრილის, ანუ დინის სამსახურიდან გაშვების შემდეგ ვენგერი და ის პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

დევიდ დინი მანამდე 24 წლის განმავლობაში მუშაობდა „არსენალში“, ბოლოს კი კლუბის ამერიკელი ამერიკელი მილიარდერის სტენ კრონკისთვის მიყიდვა განიზრახა და მისი შეცდომაც ეს გამოდგა, ეს არ აპატიეს.

ამბობენ, რომ აპრილის შემდეგ დინს სამმა კლუბმა შესთავაზა სამსახური, მაგრამ ის ყველას უარით ისტუმრებს, რადგან „არსენალში“ ტრიუმფალური დაბრუნების იმედით სულდგმულობს. ამბობენ იმასაც, რომ დინი ცდილობს, „მეთოფეთა“ კლუბი ფორმულა 1-ის ცნობილ ბობოლას ბერნი ეკლსტოუნს დააკავშიროს.

მავანმა პაპარაცმა, რომელიც საღამოს ათის ნახევარზე რესტორნიდან გამოსულ ვენგერსა და დინს უღებდა, მათ იღბალი უსურვა, რაზეც დინმა მიუგო: „გმადლობთ, ალბათ დაგვჭირდება“.

კომენტარისთვის ჟურნალისტებმა „არსენალის“ ერთ-ერთ უმსხვილეს მეწილეს დენი ფიზმენს მიმართეს, რომელმაც უპასუხა: „არსენი თავისუფალი ადამიანია და ვისაც უნდა, იმას შეხვდება“.

**ბაჩუნა ძიდია**

# თოფიანი კაპიტანი სილვა



**არსენ ვენგერმა** გადაწყვიტა, რომ მომავალ სეზონში „არსენალს“ ჟილბერტო სილვა უკაპიტნებს. ფრანგ მწვრთნელს უილიამ გალასს, კოლო ტურესა და ჟილბერტო სილვას შორის ერთ-ერთი უნდა აერჩია და გუშინწინ ბრაზილიელი დაამტკიცა.

გუნდს აქამდე ტიერი ანრი კაპიტნობდა, რომელიც „ბარსელონაში“ გადავიდა და „მეთოფეებში“ ეს საკითხიც ამიტომ წამოიჭრა. 31 წლის ბრაზილიელი „ანრის ეპოქაში“ ვიცე იყო და მას სამკლავურიც „მემკვიდრეობით“ ერგო.

„არანაირი მიზეზი არ მაქვს საიმისოდ, რომ ჟილბერტოს სამკლავური ჩამოვართვა. ამხანაგურ მატჩებში ხან გალასმა, ხან კი ტურემ უკაპიტნეს გუნდს და ისინი მომავალ სეზონში ვიცეები იქნებიან. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს და სამკლავური გამოცდილს უნდა ეკეთოს, რომელსაც მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება“ — განაცხადა ვენგერმა.

„ძალიან მიხარია, რომ მწვრთნელმა ლიდერებში ჩამწერა — თქვა 26 წლის ტურემ — გუნდი აღმა მიდის და უკეთეს შედეგს მივაღწევთ, ვიდრე წინ სეზონში“.

გარდა ამისა, არსენ ვენგერმა „დეილი მეილთან“ საუბარში აღნიშნა, რომ ნიკოლა ანელკას ყიდვას არ აპირებს...

„ჩვენ „ბოლტონისთვის“ ოფიციალურად არ მიგვიმართავს. ისედაც საკმარისი ფორვარდები გვყავს. ედუარდო და სილვას ყაიდის მოთამაშე მჭირდებოდა და შევიძინეთ. ამით ანელკას კლასს არ ვაკნინებ. მას დიდად ვაფასებ, მაგრამ „არსენალს“ მეტი თავდამსხმელი არ სჭირდება“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ცხვირი შორს პორტსმუთისგან!

**„პორტსმუთის“** მწვრთნელი ჰარი რედნაპი გააბრაზა „სანდერლენდის“ შეფ ნაილ ქუინის ნათქვამმა — „ვესტ ჰემი“ და „პორტსმუთი“ ტრანსფერებში ფულს სულელურად ფანტავენო.

„არ ვიცი, რამ ათქმევინა ეს ქუინს — გაცხარდა რედნაპი — არასოდეს მიკრიტიკებია სხვა კლუბები მათი ტრანსფერების გამო. ალბათ ამიტომაც ვმუშაობ კარგად დიდი ხნის განმავლობაში. რატომ ჰყოფს ცხვირს სხვის საქმეში?! ჯობს, თავის „სანდერლენდს“ მიხედოს“.

პორტელებმა ექვსი ფეხბურთელი შეიძინეს, მათ შორის, „პრესტონის“ ფორვარდი დევიდ ნაჯენტი ექვს მილიონ გირვანქად, რომელიც „სანდერლენდსაც“ სურდა.

„ქუინმაც იგივე თანხა შესთავაზა „პრესტონს“ და რატომაა ეს ფული ტყუილად გადაყრილი? ალბათ იმან გააბრაზა ნაილი, რომ ნაჯენტმა „სანდერლენდს“ „პორტსმუთი“ არჩია — განაცხადა რედნაპმა.



ჰარი რედნაპი

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფრთხილად, ნაძირლებო!

## სანამ ანრი ბარსელონაშია, მის ცოლ-შვილს საფრთხე დაემუქრა



**როგორც** News Of The World-ი იუწყება, „არსენალიდან“ „ბარსელონაში“ გადასული ფრანგი ვარსკვლავის, ტიერი ანრის ცოლ-შვილი შაბათს კინაღამ გაიტაცეს — დანაშაულის უკან გამტაცებელთა რუმინული ბანდა მდგარა.

როგორც ირკვევა, ანრიმ — რომელიც, სხვათა შორის, ცოლთან ნაჩხუბარია და ერთი ხანია, მასთან აღარ ცხოვრობს — თავად დაურეკა ინგლისში მოქმედ დაცვის ფირმათა შორის ყველაზე მძლავრს. დარეკვის მიზეზი გახდა ინფორმაცია, რომ ბანდიტები ორი წლის ტეას გატაცებას და გამოსასყიდის თხოვნას აპირებდნენ.

ამჟამად ანრის მიტოვებული ცოლშვილის სახლს გარედან ოცდაოთხი საათის განმავლობაში დარაჯობს საგანგებო რაზმი. უფრო ახლოდან დარაჯობენ ტეასა და მის 27 წლის დედას კლეირს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო აპარატურაა ჩართული.

აღსანიშნავია, რომ ანრის ლონდონელმა მეზობლებმა უკვე რამდენიმე თვეა, რაც ვარსკვლავის საცხოვრებლის გაძიერებული დაცვა შეამჩნიეს, ბოლო დღეებში კი, როგორც ოჯახთან დაახლოებულმა მავანმა წყარომ თქვა, გაირკვა, რომ პატარა ტეას ჯერ კიდევ ემუქრება ხიფათი.

ოჯახის მეგობარმა News Of The World-ს უთხრა: „კლეირი ისედაც ძალიან ნერვიულობდა, ხოლო ახლა, როდესაც ტიერიმ თავი დაადო და ცხრა მთას იქით გადავიდა, ის ათმაგად დაძაბულია. როდესაც კლეირმა შეიტყო, რომ კერი კატონას (პოპულარული ინგლისელი ტელეწამყვანი, საგაზეთო ჟურნალისტი და ყოფილი პოპ-მომღერალი) მძარცველები შინ შეუვარდნენ და დანით ემუქრებოდნენ, ის უკიდურესაც შეშინდა, ის [illegible] უარესს ელის“.

იმაში, რომ ანრის სიმდიდრე ყველა ჯურის კრიმინალების ყურადღებას იპყრობს, გასაკვირი არაფერია. „ბარსელონაში“ ფრანგის შემოსავალი, ინგლისური საზომით, კვირაში 130 ათასი გირვანქაა, ხოლო კლეირს განქორწინება, სავარაუდოდ, 10 მილიონს მოუტანს.

ექსპერტების მტკიცებით, რუმინელები, რომლებზეც ამ შემთხვევაში ეჭვობენ, ბავშვების გატაცებით, დიდების ტრეფიკინგითა და სექს-ინდუსტრიით არიან ცნობილნი.

ოჯახის მეგობარი: „როდესაც ტიერიმ და კლეირმა საქმის არსი შეიტყვეს, დაიზაფრნენ. საერთოდ, კლეირს ბავშვის გასეირნება უყვარს, მაგრამ ამიერიდან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან მოსეირნე დედისთვის შვილის გამოგლეჯვა და მისი მანქანაში ჩატენვა მეტად იოლი საქმეა. შესაბამისად, ამიერიდან, ნებისმიერ ადამიანს ან მანქანას, რომელიც კლეირთან და ბავშვთან ახლოს მივა, გააჩერებენ და გაჩხრიკავენ. დაცვის თანშმრომლები გადიასაც კი ჩრდილივით აეკრობიან“.

**ბაპუნა ძიძია**



# განსაკუთრებული თავი ბლექბერნს

**„ბლექბერნმა“** დაადასტურა, რომ მიუნხენის „ბაიერნიდან“ პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

25 წლის თავდამსხმელში პრემიერლიგურმა კლუბმა დაახლოებით 5 მილიონი ევრო გადაიხადა.

„სანტა კრუზი კარგი რეპუტაციის ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელიც უკვე დიდი ხანია, ნაკრების ძირითად შემადგენლობაშია — თქვა „ბლექბერნის“ მწვრთნელმა მარკ ჰიუზმა — ფიზიკურად ძლიერია და თავით განსაკუთრებულად კარგად თამაშობს“.

პარაგვაელმა რვა წელი გაატარა „ბაიერნში“ და ხუთჯერ ბუნდესლიგა, ოთხჯერ გერმანიის თასი, ერთხელ ჩემპიონთა ლიგა და ერთიც საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო. 155 მატჩში 31 გოლი გაიტანა.

სანტა კრუზს „ბაიერნში“ არ დაედგომებოდა, რადგან კლუბმა ლუკა ტონი, მიროსლავ კლოზე და იან შლაუდრაფი იყიდა. ამას მივუმატოთ ლუკაშ პოდოლსკი და პარაგვაელის ადგილი მიუნხენში აღარ დარჩა. მის გარდა როი მაკაიც გაუშვეს, რომელიც „ფეიენოორდში“ გადავიდა.

„ბლექბერნს“ კი ახლა ხუთი ფორვარდი ჰყავს — ბენი მაკკარტი, ჯეისონ რობერტსი, მეტ დერბიშირი, მარკო რიგტერსი და როკე სანტა კრუზი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# რობენის რეალური ხვალ-ზეგ

## შუსტერმა ბალაკში ზიდანი დაინახა



**„ჩელსის“** ჰოლანდიელი ნახევარმცველი არიენ რობენი ამ კვირაში მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი გახდება. მის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს გადაიხდიან — წერს ესპანური „მარკა“.

ფეხბურთელი მადრიდში ხვალ ან ზეგ ჩავა. რობენი „რეალთან“ პირად კონტრაქტზე უკვე მორიგებულია და კლუბების შეთანხმებასაც ცოტაღა უკლია.

ჰოლანდიელმა შეკრების უმეტესი ნაწილი გააცდინა, რამაც „რეალში“ მის გადასვლაზე საუბარი გაახშირა, თუმც „ჩელსი“ გაცდენას ოფიციალურად ტრავმას აბრალებდა.

„მარკა“ იმასაც ამტკიცებს, რომ „ფეიენოორდის“ მარცხენა ნახევარმცველი როისტონ დრენტე ასევე „სამეფო კლუბში“ ამოჰყოფს თავს. მისი გადაბირება „ჩელსისაც“ სურს.

„რეალის“ მწვრთნელ ბერნდ შუსტერს მარცხენა ფლანგის გაძლიერება უნდა და ამ ფეხბურთელების შეძენით პრობლემას მოაგვარებს.

ავსტრიულ ირდნინგში, სადაც მადრიდის „რეალი“ ემზადება, შუსტერმა გერმანულ ტელეკომპანია ARD-ს განუცხადა, რომ სიამოვნებით იყიდიდა მიხაელ ბალაკსაც: „ზიდანის წასვლის შემდეგ „რეალს“ ასეთი ფეხბურთელი სჭირდება. იგი ნახევარდაცვას და შეტევას შეაკავშირებს და, დარწმუნებული ვარ, ძალიან მოუხდება გუნდს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვალდემარმა ნანტი იყიდა

**პოლონელმა** ბიზნესმენმა ვალდემარ კიტამ „ნანტი“ იყიდა, რომელიც უმაღლეს დივიზიონში გატარებული 44 წლის შემდეგ გასულ სეზონში ჩაქვეითდა.

„როიტერის“ ცნობით, საფრანგეთის რვაგზის ჩემპიონში პოლონელმა 10 მილიონი ევრო გადაიხადა.

ვალდემარ კიტას კონტაქტური ლინზების ბიზნესი აქვს საფრანგეთში. იგი „ნანტის“ ქომაგია და 1998 წელსაც სცადა კლუბის ყიდვა, მაგრამ არ გამოუვიდა. შემდეგ შვეიცარიულ „ლოზანას“ პატრონობდა 1998-2002 წლებში.

„კიტა ძალიან წუხს „ნანტის“ გავარდნის გამო და უნდა, რომ ისევ ელიტაში აიყვანოს“ — თქვა კლოდ რობინმა, რომელიც „ლოზანაში“ პოლონელ ბიზნესმენთან მეგობრობდა.

წლების განმავლობაში „ნანტს“ არაფერი უჭირდა, სანამ 2004-ში სერჟ დასო — საავიაციო კომპანიის მფლობელი — იყიდიდა. იგი კლუბის საქმეებს წესიერად ვერ გაუძღვა და „ნანტიც“ მეორე დივიზიონში აღმოჩნდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გაბრიელ არეული

## იუვემ ჰაინცეს ადგილი გაუმზადა



**დომენიკო კრიშიტო** და ჯორჯო კიელინი ალბათ ამ კვირაში აიბარგებიან „იუვენტუსიდან“, რომელსაც მანჩესტერელი გაბრიელ ჰაინცეს ყიდვა უნდა. ტურინული კლუბი დაცვის ხაზს აძლიერებს, რადგან სერია B-ში ნათამაშები დაცვა სერია A-ში აღარ გამოადგება.

კიელინი ალბათ „მანჩესტერ სიტიში“ გადავა. მის ნაცვლად ინგლისელები 7 მილიონ გირვარქას იხდიან. დომენიკო კრიშიტოს კი „ჯენოაში“ გაანათხოვრებენ, სკამზე ჯდომას „ჯენოაში“ თამაში მირჩევნიაო.

რაც შეეხება ჰაინცეს გაჯანჯლებულ საქმეს — არგენტინელი მცველის შეძენა „ლივერპულს“ სურს და 6 მილიონ 900 ათას გირვანქასაც იხდის. ჰაინცეც „მანჩესტერიდან“ წასვლას ლამობს, მაგრამ ალექს ფერგიუსონი კონკურენტ გუნდში მისი გადასვლის წინააღმდეგია. „ლივერპულმა“ საქმეში იურისტებიც კი ჩართო, მაგრამ ჯერ თავისას ვერ მიაღწია. ამიტომაც ჩაერთო ამბავში „იუვენტუსი“ და ცდილობს, ამ არეულობიდან ჰაინცე ტურინში ჩაიყვანოს.

„იგი კლუბში 6 აგვისტოს უნდა დაბრუნდეს. სამკვირიანი შვებულება დაუსრულდა „კოპა ამერიკას“ შემდეგ და ველით მანჩესტერში“ — თქვა ალექს ფერგიუსონმა ჰაინცეზე. ალბათ, 6 აგვისტოს საბოლოოდ გაირკვევა, სად გადავა არგენტინელი მცველი.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ეს რა ვნახე!

**დიეგო მარადონა** ბრაზილიის ნაკრებმა შეაშინა, რადგან კაკას და რონალდინიოს გარეშე „პენტაკამპეონებმა" არგენტინას იოლად მოუგეს „კოპა ამერიკას" ფინალში.

მარადონამ თქვა, ისე კოხტად გადააგორეს ჩვენი გუნდი, რომ თვალზე ცრემლიც კი არ მომსვლიაო. ეს იყო არგენტინის სამბურთიანი სხვაობით, ზედიზედ მესამე მარცხი ბრაზილიასთან.

„მათ არ ჩაიყვანეს მონსტრები (კაკა და რონალდინიო) ვენესუელაში — განაცხადა არგენტინელმა „ოლესთან" ინტერვიუში — გეკითხებით, რა მოხდება, როცა უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ? როცა ნამდვილი ბრაზილია გავა მოედანზე? მხოლოდ არგენტინას კი არა, გერმანიას, იტალიას, ესპანეთსა და სხვა გუნდებსაც შავი დღე დაადგებათ. ამჯერად არ მიტირია. ისე გემრიელად მოგვიგეს, რომ ქვითინის დრო არ მქონდა. ბრაზილიელთა საუკეთესო ფეხბურთელი რობინიო ფინალში ბურთს არც შეხებია და მაინც 3 გოლი შეაგდეს. მართალია, მალე გაგვიტანეს, მაგრამ 86 წუთი იყო დარჩენილი მატჩის ბოლომდე და არგენტინამ სახეირო ვერაფერი შექმნა!"

**გაჟა ხუციშვილი**

# კორეა დასვენებულს ექებს

**სამხრეთ** კორეის ნაკრები ახალ მწვრთნელს ეძებს, რადგან აზიის თასი მესამე ადგილისთვის მატჩის შემდეგ პიმ ვერბეეკი გადადგა. მის ხელქვეით გუნდმა იაპონია პენალტებში (6:5) დაამარცხა და ბრინჯაო მოიგო, ძირითადი დრო კი უგოლოდ დასრულდა. კორეის ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივნის განცხადებით, შეფები უკვე ბჭობენ ვერბეეკის შემცვლელზე და გადაწყვეტილებას მალე მიიღებენ.

იაპონიასთან მოგებით სამხრეთ კორეამ აზიის თასის 2011 წლის გათამაშების ფინალურ ეტაპზე ადგილი გაინაღდა. იმ გათამაშებას ყატარი უმასპინძლებს.

„ფედერაციას მატჩის დაწყებამდე ვთხოვე ჩემი კონტრაქტის გაწყვეტა, რომელიც 2008-ში მეწურებოდა და დამყაბულდნენ. დავიღალე და დასვენება მჭირდება, რათა მომავალში კვლავ ენერგიულად ვიმუშაო" — თქვა ვერბეეკმა, რომელმაც სამხრეთ კორეა გუს ჰიდინკის წასვლის შემდეგ ჩაიბარა.

კორეელები აზიის თასზე ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო ნახევარფინალში ერაყთან პენალტებით დამარცხდნენ.

**გაჟა ხუციშვილი**

# მე-19 საუკუნის ფინალი

**გერმანიის** 1894 წლის ჩემპიონატის ფინალი გუშინწინ ბერლინში გაიმართა. დედაქალაქის „ვიქტორიამ" „ხანაუს" უმასპინძლა და თამაში 1:1 დასრულდა.

პირველი მატჩი ბერლინელებს მე-19 საუკუნის მიწურულს 3:0 ჰქონდათ მოგებული და 1894 წლის ჩემპიონები გახდნენ. საპასუხო შეხვედრა მაშინ იმიტომ არ შედგა, რომ „ხანაუ" უფულობის გამო 400 კილომეტრით დაშორებულ ბერლინში ვერ ჩავიდა და „ვიქტორიას" მოგება ჩაეთვალა.

ხანაუელებმა გააპროტესტეს და თამაშის უფლება მოიპოვეს 113 წლის შემდეგ, მაგრამ პირველობა მაინც „ვიქტორიას" დარჩა.

ორივე გუნდი ამჟამად ქვედა ლიგებშია.

**გაჟა ხუციშვილი**

# სინიშაზე გაზრდილი, რომათი ამაყი და ინტერით ბედნიერი

**დაახლოებით** ორთვიანი პაუზის შემდეგ კრისტიან კივუმ დუმილი დაარღვია და „რომას" საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია მოაწყო. იგი „გლადიატორებს" გამოემშვიდობა და თავისი გადაწყვეტილების მიზეზებზე ისაუბრა.

„აქ იმიტომ ვარ, რომ ყველას მივესალმო და მადლობა გადავუხადო. ვტოვებ იმ ქალაქს და კლუბს, რომელშიც ოთხი ბრწყინვალე წელი გავატარე. ამას არასოდეს დავივიწყებ და მეამაყება, რომ „რომაში" ვიყავი. როგორც ნამდვილ კაცს შეეფერებოდა, ყოველთვის ისე ვიქცეოდი და იმედია, ასე დამიმახსოვრებენ. დიდი ხანი ვიფიქრე, სანამ „ინტერის" წინადადებას დავთანხმდებოდი, ეს ცხოვრებისეული გადაწყვეტილება იყო. მადრიდის „რეალში" გადასვლა იმიტომ ვიუარე, რომ იტალიიდან წასვლა არ მსურდა. ამ ქვეყანასა და სერია A-ში ჩემი თავგადასავალი ჯერ არ დასრულებულა. „ინტერის" დარ გუნდში გადასვლის შანსი კი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა და ის უნდა გამოიყენო" — განაცხადა რუმინელმა მცველმა.

ოფიციალურად გაცხადდა ტრანსფერის ფინანსური დეტალებიც — კივუ „ინტერში" 13 მილიონ ევროდ გადავიდა. გარდა ამისა, „რომამ" მარკო ანდრეოლიზე სანახევრო უფლებები მოიპოვა. ანდრეოლის კონტრაქტის ნახევარი კი ექვს



მილიონ ევროდ შეფასდა.

კრისტიან კივუ: „სანამ ჩემი ტრანსფერის ამბავი ოფიციალურად გადაწყდებოდა, საბედნიეროდ, შევძელი და მთელი ამ მითქმა-მოთქმისა თუ მოლაპარაკებებისგან თავი შორს დავიჭირე. ყველაფერს აგენტები აგვარებდნენ. „რომას" ხელმძღვანელობასთან ვისაუბრე იმაზეც, იყო თუ არა რაიმე შანსი, რომ დავრჩენილიყავი. საბოლოოდ ორივე მხარემ გადავწყვიტეთ, რომ ყველასთვის აჯობებდა, წავსულიყავი. მესმის ფანების, რომლებიც ჩემზე გაბრაზდნენ. მათ ძალიან ვუყვარდი და ჩემი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. კლუბის დაარსების 80-წლისთავთან დაკავშირებით „სტადიო ოლიმპიკოზე" გამართულ ზეიმზე იმიტომ არ მივედი, რომ უკვე, ფაქტობრივად, „ნეროაძურის" ფეხბურთელი გახლდით და იქ მისვლა „რომას" მოთამაშეებისა თუ ფანების უპატივცემულობა იქნებოდა. ახლა „ინტერზე" ბევრს არ ვილაპარაკებ, არც ეს იქნება კარგი საქციელი. ისე, მალე იტალიის სუპერთასია და ინტერელის რანგში პირველად შევხვდები „რომას". სიამოვნებით მივესალმები ჩემს ყოფილ თანაგუნდელებსა და ფანებს".

მილანში ჩაფრენიდან მეორე დღეს კი კივუმ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ბედნიერი ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჩამოვედი. „ინტერი" დიდი კლუბია, მრავალი ვარსკვლავით დაკომპლექტებული და ყველანაირად ვეცდები, თავი გამოვიჩინო. დიდი მადლობა მწვრთნელ რობერტო მანჩინისა და მის თანაშემწე სინიშა მიხაილოვიჩს ჩემი შექებისთვის. ორივენი დიდი ფეხბურთელები იყვნენ. სინიშას თამაშის ყურებით გავიზარდე".

**გიორგი ქაქაბაძე**

## გერმანია

### ლიგის თასი. ფინალი

**შალკე 0:1 ბაიერნი**

0:1 კლოზე (29)

შალკე: ნოიერი, რაფინია (ვესტერმანი 75), ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ზ. ერნსტი, ქობიაშვილი, ჰალილ ალტინტოპი, რაკიტიჩი (აზაუაგი 66), ლოვენკრანდსი (ასამოა 58), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

ბაიერნი: კანი, ლამი, ლუსიო, დემიკელისი, იანსენი, ზე რობერტო, ოტლი, ლელი (დოს სანტოსი 75), ჰამიტ ალტინტოპი, სოსა, კლოზე (ს. ვაგნერი 90)

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მსაჯი: მაიერი

43 500 მაყურებელი

# მოვდივართ!




**მიროსლავ კლოზემ** „ბაიერნის" მაისურით ოფიციალურ მატჩში პირველი გოლი გაიტანა და ოტმარ ჰიცფელდის გუნდი სეზონის დასაწყისს ჯილდოთი შეხვდება. „ბაიერნმა" მეექვსედ მოიგო გერმანიის ლიგის თასი. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირში გუნდმა დაამარცხა „ვერდერი", „შტუტგარტი" და „შალკე" — ტრიო, რომელმაც წინა სეზონში მიუნხენელებს ჩემპიონატში გაასწრო.

ტრავმების გამო ოტმარ ჰიცფელდს ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი და ბასტიან შვაინშტაიგერი დააკლდა. მარკ ვან ბომელი კი დისკვალიფიცირებული იყო. მიუხედავად შესუსტებული შემადგენლობისა, „ბაიერნმა" ყოჩაღად ითამაშა.

მატჩის დაწყებიდან ნახევარი საათის თავზე მცველისა და მეკარის არეულობით მიროსლავ კლოზემ ისარგებლა და ცარიელ კარში შეაგდო ბურთი. შალკელები ისე იყვნენ საბრძოლოდ განწყობილნი, რომ თამაში გადაავიწყდათ და უხეშობისთვის წარამარა ყვითელ ბარათებს იღებდნენ.

მეორე ტაიმიდან მირკო სლომკას გუნდმა აგრესიას უკლო და ბურთის გორება დაიწყო, მაგრამ ამანაც ვერ მოუტანა ხეირი. ერთ ეპიზოდში კევინ კურანიმ დაარტყა და 38 წლის ოლივერ კანმა ისეთი ნახტომი იკისრა, რომ 20 წლის მეკარესაც შეშურდებოდა.

„ბაიერნიდან" უფრო გამორჩეული ჰამიტ ალტინტოპი იყო, რომელმაც ტყუპისცალი ჰალილის წინააღმდეგ ითამაშა და ძმას აშკარად სჯობდა. ჰამიტმა ძელსაც გაარტყა ბურთი, ისევე, როგორც წინა მატჩში და ცოტა მიზანი აქვს გასასწორებელი.

„ეს მომავლის გამარჯვებაა — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ სეზონს ტიტულით შევხვდებით. გამარჯვებას არ გავაბუქებთ, მაგრამ მეტოქეებისთვის ალბათ ნათელია, თუ ვინ იქნება ჩემპიონატში ფავორიტი".

ოლივერ კანი: „თასის მოგება თავდაჯერებას შეგვმატებს. სეზონის დაწყებამდე ათ დღეზე მეტია და კარგი განწყობით შევეგებებით".

ბუნდესლიგა 10 აგვისტოს იწყება და „ბაიერნი" როსტოკში „ჰანზას" ეთამაშება.

**გაჟა ხუციშვილი**

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### პირველი ტური

**კარლსრუე (მ) — ბურგჰაუზენი 0:1; ინგოლშტადტი — კიკერსი 2:3; ზიგენი — მიუნხენი (მ) 1:0; შტუტგარტი (მ) — ელვერსბერგი 2:0; სენდჰაუზენი — ოგერშეიმი 3:0; რეგენსბურგი — უნტერჰახინგი 2:1; პფულენდორფი — ფრანკფურტი 2:0; ბაიერნი (მ) — როიტლინგერი 0:0; ჰესენი — აალენი 1:3**

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### პირველი ტური

**ჰამბურგი (მ) — დინამო 2:0; ვუპერტალი — ლიუბეკი 2:1; ბრაუნშვაიგი — ემდენი 0:1; ბაბელსბერგი — დორტმუნდი (მ) 0:0; ერფურტი — ალენი 6:3; უნიონი — ფორტუნა 0:1; ესენი — ობერჰაუზენი 1:4; კოტბუსი (მ) — ვერლი 0:1**

# ინტერტოტოს თასი 2007

## მესამე ეტაპი. საპასუხო მატჩები

*ბლეკბერნი (ინგლისი)* 4:0 ვეტრა (ლიტვა) (2:0)
ტრაბზონი (თურქეთი) 1:2 *ოცელული (რუმინეთი)* (1:2)
*ლანსი (საფრანგეთი)* 3:1 ჩორნომორეცი (უკრაინა) (0:0)
*სამპდორია (იტალია)* 1:0 ჩერნო მორე (ბულგარეთი) (1:0)
*ატლეტიკო (ესპანეთი)* 1:0 გლორია (რუმინეთი) (1:2)
*ჰამბურგი (გერმანია)* 4:0 დაჩია (მოლდოვა) (1:1)
უტრეხტი (ჰოლანდია) 1:1 *ჰამარბი (შვედეთი)* (0:0)
რუბინი (რუსეთი) 0:0 *რაპიდი (ავსტრია)* (1:3)
*ოლბორგი (დანია)* 2:1 გენტი (ბელგია) (1:1)
*ლეირია (პორტუგალია)* 4:1დ.დ. (1:0) ჰაიდუკი (სერბეთი) (0:1)
ოფი (საბერძნეთი) 0:1 *ტობოლი (ყაზახეთი)* (0:1)

## ბელგია

### სუპერთასი

**ანდერლეხტი 3:1 ბრიუგე**
1:0 ბუსუფა (4), 2:0 მ. მპენზა (38), 2:1 ჯოკიჩი (48), 3:1 ა. ჰასანი (88)

## რუმინეთი

### I ლიგა. I ტური

გლორია — დინამო 1:2; უნივერსიტატია — პანდურიი 1:1; ტიმიშოარა — პოლიტეხნიკა 3:1

## სლოვენია

### პირველი ლიგა მეორე ტური

ინტერბლოკი — პუბლიკუმი 1:1; მარიბორი — გორიცა 2:1; ნაფტა — ნოვა გორიცა 3:1; დომჟალე — კოპერი 0:0; პრიმორიე — დრავა 2:1

## შვეიცარია

### სუპერლიგა III ტური

ლუცერნი — იანგ ბოისი 2:2; ქსამაქსი — ციურიხი 1:1; ბაზელი — აარაუ 1:1; გრასჰოპერი — სიონი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| სიონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| იანგ ბოისი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 5 |
| ციურიხი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| გრასჰოპერი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ქსამაქსი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| ლუცერნი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:7 | 2 |
| აარაუ | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| თუნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სენტ გალენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

### ჩელენჯლიგა III ტური

შაფჰაუზენი — კამი 3:0; ივერდონი — ვადუცი 0:2; ვილი — ლოზანა 0:0; გოსაუ — კიასო 2:2; შო დე ფონი — ბელინცონა 3:2; სერვეტი — ვოლენი 1:3; ლუგანო — ვინტერთური 2:3; ლოკარნო — კონკორდია 1:1; დელემონი — კრიენსი 0:1

## ჩილე

### პრიმერადივიზიონი მეორე ტური

ლოტა — აუდაქსი 1:2; უნ ჩილე — ანტოფოგასტა 2:0; კოქიმბო — უნ კონსეფსიონი 0:1; უნ კატოლიკა — სერენა 3:1; კობრესალი — უაჩიპატო გადაიდო; ევერტონი — ესპანიოლა, პუერტო მონტი — პალესტინო, დ კონსეფსიონი — კოლო კოლო, მელიპილა — ატლეტიკო ნუბლესე და უონდერენსი — ბიგინსი გვიან დამთავრდა

## ბრაზილია

### სერია A. XV ტური

ვასკუ და გამა — ბოიასი 4:1; პორტუ ალეგრე — ატლეტიკო პრ 1:1; სანტოსი — ნაუტიკო 1:2; პარანა — ატლეტიკო მრ 1:3; ჟუვენტუდე — პალმეირასი 1:1; კორინთიანსი — ფლამენგო 2:2. რესიფე — ინტერნასიონალი 1:5. ფლუმინენსე — ფიგეირენსე, ამერიკა — სან პაულუ და კრუზეირო — ბოტაფოგო გვიან დამთავრდა

## საფრანგეთი

### სუპერთასი

**ლიონი 2:1 სოშო**
0:1 ბირსა (13), 1:1 გოვუ (20), 2:1 კრისი (44)

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XV ტური

ალესუნდი — სანდეფიორდი 4:1; ლილესტრიომი — ოდ გრენლანდი 1:1; ტრომსიო — რუსენბორგი 2:1; სტრიომსგოდსეტი — ბრანი 2:4; ვიკინგი — სტარტი 2:0; სტაბეკი — ვოლერენგა 2:2. ლინი — ფრედრიკსტადი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 15 | 10 | 2 | 3 | 32:25 | 32 |
| სტაბეკი | 15 | 8 | 5 | 2 | 24:18 | 29 |
| ვიკინგი | 15 | 8 | 3 | 4 | 27:21 | 27 |
| ლილესტრიომი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:13 | 26 |
| რუსენბორგი | 15 | 6 | 4 | 5 | 29:23 | 22 |
| ლინი | 14 | 6 | 3 | 5 | 27:22 | 21 |
| სტრიომსგოდსეტი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:25 | 21 |
| ტრომსიო | 15 | 6 | 2 | 7 | 24:25 | 20 |
| ფრედრიკსტადი | 14 | 4 | 6 | 4 | 21:21 | 18 |
| ალესუნდი | 15 | 5 | 3 | 7 | 23:28 | 18 |
| ვოლერენგა | 15 | 3 | 6 | 6 | 13:18 | 15 |
| სტარტი | 15 | 3 | 4 | 8 | 18:26 | 13 |
| ოდ გრენლანდი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:19 | 12 |
| სანდეფიორდი | 15 | 3 | 3 | 9 | 16:29 | 12 |

### I დივიზიონი. XV ტური

ტრომსდალენი — სპარტა 0:2; მიოლდე — სოგნდალი 2:1; რაუფოსი — ნოტოდენი 1:2; ჰაუგესუნდი — მოსი 2:2; კონგსვინგერი — მანდალსკამერატენე 3:2; ბრინი — ლოვ ჰამი 1:1; ბოდო გლიმტი — ჰონეფოსი 3:1; სკეიდი — ჰამ კამი 0:4

## სლოვაკეთი

### სუპერლიგა. III ტური

სლოვანი — ჟილინა 2:3; რუჟომბეროკი — მორავცე 3:0; კოშიცე — დუბნიცა 0:0; დუკლა — სენეცი 2:0; არტმედია — ტრენჩინი 3:2

## ხორვატია

### NHL. II ტური

დინამო — ზადარი 5:1; რიეკა — ციბალია 3:0; ვარტექსი — ოსიეკი 1:2; სლავენი — მედიმურიე 2:0; შიბენეკი — ზაგრები 0:0; ჰაიდუკი — ინტერი 7:1

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XX ტური

ბრეი — ლონგფორდი 1:3; დროჰედა — უოტერფორდი 3:0; სლიგო — შემროკი 2:0; სენტ პატრიკსი — კორკი 1:1; დუბლინი — ბოჰემიანსი 1:0; დერი — გალვეი 0:0

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. III ტური

შახტარი — ზარია 3:0; არსენალი — ნაფტოვიკი 3:0; კარპატი — კრივბასი 3:0; მ. ზაპოროჟიე — ხარკოვი 0:0; ვორსკლა — ტავრია 0:0; დნიპრო — მ. დონეცკი 4:1; მეტალისტი — ზაკარპატიე 1:0

## ამხანაგური მატჩები

28 ივლისი

ჰერაკლესი 3:2 ლოკომოტივი (ს)
კიოლნი 2:2 ვალიადოლიდი
ჰერტა 4:0 ალზენი
დუისბურგი 2:1 პსვ
არმინია 0:0 პაოკ
რეინჯერსი 2:0 ჩელსი
ვეენდამი 1:2 გრონინგენი
ოსი 1:1 ტილბურგი
ბარნლი 2:0 ლიდსი
ჰალიფაქსი 0:4 უიგანი
კილმარნოკი 1:0 ლესტერი
საუთჰემპტონი 2:5 ლაციო
უიკომბი 0:1 ქუინზ პარკი
მოზერველი 0:0 ნოტინგემი
მენსფილდი 2:0 დერბი
ფოლკირკი 2:1 აიაქსი
ბრაიტონი 1:3 რედინგი
ჰიბერნიანი 1:0 მიდლსბრო
ტრანმერი 0:1 ბოლტონი
ჩელტენემი 1:3 ვულვზი
დონკასტერი 1:1 ჰალი
ჯილინგემი 0:5 ჩარლტონი
ლივინგსტონი 1:1 ბლექპული
როტენჰემი 1:1 ბარნსლი
საუთენდი 1:3 ვესტ ჰემი
უოლსოლი 0:2 ბირმინგემი
პორტველი 3:0 უენსდი
ერდრი 2:2 როვერსი
ბრისტოლი 2:2 იოვილი
ისტ ფაიფი 2:2 აკრინგტონი
ქუინი 0:0 კარლაილი
რაშდენი 0:0 ლუთონი
საუთპორტი 2:0 მაკლსფილდი
სენტ მირენი 1:0 მორტონი
იორკი 1:0 ბრედფორდი
ბოსტონი 0:1 ლინკოლნი
ბრეჩინი 1:3 სენტ ჯონსტონი
დენ ბოსხი 1:0 მაკაბი (ფეთაჰ-თიკვა)
როსი 1:2 ინვერნესი
სტოკპორტი 6:4 კარდიფი
ძპრ 1:0 პარტიკი
ბოხუმი 3:0 გლადბახი
ჰართსი 1:3 ბარსელონა
აინტრახტი 3:1 კობლენცი
ბრედა 0:1 როდა
ვიტესი 1:4 დორტმუნდი
მიუნხენ 1860 0:0 პანიონიოსი
ლოკერენი 0:0 ტულუზი
ბრიუსელი 2:2 ნანსი
ოსტენდე 0:1 ზულტე-ვარეგემი
მონსი 0:1 ვალანსიენი
შარლერუა 2:0 სიტი
მეხელენი 0:1 ვესტერლო
რუზელარე 1:0 გაზიანთეფი
სტრასბური 1:1 ლევანტე
ჰერენვენი 3:2 ძსანთი
რენი 1:2 ბორდო
ლე მანი 0:1 პანათინაიკოსი
მარსელი 2:1 სენტ ეტიენი
ფიორენტინა 0:0 აპოელი
ბოჰემიანსი 0:1 სანდერლენდი
სპორტინგი 1:1 უელვა
ბოავიშტა 0:3 პორტუ

29 ივლისი

კოლუმბუსი 1:3 ასტონ ვილა
სერკლი 1:2 ზამალეკი
სელტიკი 1:0 პარმა
ნიუკასლი 2:0 იუვენტუსი
ლევერკუზენი 2:2 რომა
ბეერსხოტი 3:0 ლიერსი
მეცი 1:3 სტანდარდი
სენტ ტრუიდენი 0:2 ვალიადოლიდი
ალემანია 3:1 ლოკომოტივი (ს)
სპარტა 2:0 ჰანზა
ოლიმპიაკოსი 1:1 მალიორკა
ბრიუგე 0:2 აეკ

## უნგრეთი

### ბორსოდი ლიგა. II ტური

დებრეცენი — დიოში 2:0; უიპეშტი — ზალაეგერსეგი 1:1; პაკში — მტკ 1:4; ტატაბანია — ნიერიგიაზა 0:1; დიოშდიორი — შიოფოკი 0:3; შოპრონი — ჰონვედი 0:1. რეაკ — ფაშში და ფეჰერვარი — კაპოშვარი დღეს გაიმართება

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XV ტური

ინტერი — ლაჰტი 0:1; კტპ — იარო 2:1; ვიიკინგიტი — მარიეჰამნი 2:2; ჰონკა — ჰაკა 0:2; ჰიკ — მიუპა 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20:14 | 29 |
| ჰაკა | 13 | 7 | 3 | 3 | 18:13 | 24 |
| ტურუ | 14 | 7 | 2 | 5 | 25:19 | 23 |
| მიუპა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:15 | 22 |
| ჰიკ | 14 | 4 | 8 | 2 | 21:16 | 20 |
| ლაჰტი | 14 | 6 | 2 | 6 | 20:16 | 20 |
| ჰონკა | 13 | 5 | 5 | 3 | 19:15 | 20 |
| კტპ | 14 | 6 | 2 | 6 | 19:17 | 20 |
| იარო | 14 | 5 | 3 | 6 | 18:17 | 18 |
| ვაასა | 15 | 4 | 6 | 5 | 13:22 | 18 |
| ინტერი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:15 | 13 |
| ვიიკინგიტი | 13 | 3 | 3 | 7 | 12:18 | 12 |
| ოულუ | 13 | 2 | 5 | 6 | 12:22 | 11 |
| მარიეჰამნი | 14 | 1 | 7 | 6 | 9:19 | 10 |

## აშშ

### მეიჯორლიგა. XVIII ტური

რედ ბულზი — ჩივასი 0:2; სოლტ ლეიკი — ნიუ ინგლენდი 1:2; ტორონტო — ჩიკაგო 0:3

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XVIII ტური

**ლუჩ-ენერგია 1:1 სპარტაკი**
1:0 სმირნოვი (9), 1:1 პრუდნიკოვი (53)

**ზენიტი 0:0 ამკარი**

**ლოკომოტივი 2:2 დინამო**
0:1 პიმენოვი (58), 1:1 სიჩოვი (70), 1:2 პიმენოვი (73), 2:2 ოდემვინგი (87)

**ტომი 1:1 როსტოვი**
1:0 კლიმოვი (44), 1:1 ოსინოვი (63)

**ცსკა 0:0 ხიმკი**

**კრილია 0:1 სატურნი**
0:1 შილა (33)

**კუბანი 4:1 მოსკვა**
1:0 კუზმიჩევი (49), 2:0 ლაგო (52), 3:0 ვლადიმირი (64), 3:1 ჩიჟეკი (76), 4:1 ტლისოვი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 9 | 6 | 3 | 24:17 | 33 |
| ზენიტი | 18 | 8 | 7 | 3 | 27:22 | 31 |
| მოსკვა | 18 | 8 | 6 | 4 | 22:18 | 30 |
| დინამო | 18 | 7 | 6 | 5 | 23:17 | 27 |
| ცსკა | 18 | 6 | 8 | 4 | 20:16 | 26 |
| ლოკომოტივი | 18 | 6 | 6 | 6 | 23:27 | 24 |
| რუბინი | 16 | 7 | 2 | 7 | 18:16 | 23 |
| კრილია | 18 | 6 | 4 | 8 | 19:22 | 22 |
| ტომი | 18 | 4 | 9 | 5 | 21:20 | 21 |
| ამკარი | 18 | 4 | 9 | 5 | 15:15 | 21 |
| კუბანი | 18 | 4 | 9 | 5 | 17:19 | 21 |
| ლუჩ-ენერგია | 18 | 5 | 6 | 7 | 17:19 | 21 |
| სატურნი | 18 | 4 | 9 | 5 | 17:19 | 21 |
| ნალჩიკი | 17 | 5 | 6 | 6 | 15:18 | 21 |
| ხიმკი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:18 | 20 |
| როსტოვი | 18 | 1 | 9 | 8 | 13:26 | 12 |

## ისლანდია

### პრემიერლიგა. XI ტური

**ჰაფნარფიორდური 3:2 კეფლავიკი**

## შვედეთი

### ალსვენსკანი. XVI ტური

ჰალმსტადი — გაის და კალმარი — გეფლე დღეს გაიმართება; გოტებორგი — იორებრო ხვალ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:16 | 28 |
| ჰალმსტადი | 14 | 8 | 3 | 3 | 22:14 | 27 |
| იურგორდენი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 27 |
| კალმარი | 14 | 8 | 1 | 5 | 21:13 | 25 |
| ჰამარბი | 14 | 6 | 3 | 5 | 20:14 | 21 |
| მალმიო | 14 | 5 | 5 | 4 | 17:13 | 20 |
| გოტებორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 21:19 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 15 | 5 | 4 | 6 | 23:22 | 19 |
| გაის | 14 | 5 | 4 | 5 | 13:14 | 19 |
| აიკ | 15 | 5 | 4 | 6 | 14:18 | 19 |
| გეფლე | 14 | 4 | 5 | 5 | 14:16 | 17 |
| ტრელებორგი | 16 | 4 | 2 | 10 | 17:29 | 14 |
| ბრომაპოიკარნა | 15 | 3 | 4 | 8 | 12:28 | 13 |
| იორებრო | 14 | 2 | 6 | 6 | 12:21 | 12 |

### სუპერეტა. XVI ტური

ჰეკენი — ბუნკეფლო 4:0; იოსტერსი — სილვია 3:0

## ემირატის თასი 2007

28 ივლისი

ინტერი 0:2 ვალენსია
არსენალი 2:1 პსჟ

29 ივლისი

პსჟ 3:0 ვალენსია
არსენალი 2:1 ინტერი

## აზიის თასი 2007

### მატჩი მე-3 ადგილისთვის

სამხ. კორეა 0:0დ.დ. (პენ.6:5) იაპონია

### ფინალი

ერაყი 1:0 საუდის არაბეთი

## დანია

### სუპერლიგა. III ტური

ოდენსე — ჰორსენსი 3:3; ნორდსიელანდი — ლიუნგბიუ 0:1; კოპენჰაგენი — ვიბორგი 3:1; მიდტიულანდი — ბრონდბიუ 5:0. ესბიერგი — ორჰუსი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰორსენსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 7 |
| ესბიერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| რანდერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ოდენსე | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| კოპენჰაგენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ნორდსიელანდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ლიუნგბიუ | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | 4 |
| მიდტიულანდი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| ოლბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრონდბიუ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |
| ორჰუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ვიბორგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

## ავსტრია

### ბუნდესლიგა. IV ტური

რიდი — აუსტრია 0:1; მატერსბურგი — შტურმი 2:2; ზალცბურგი — ლინცერი 2:1; ალტახი — ტიროლი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მატერსბურგი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:7 | 8 |
| ზალცბურგი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| შტურმი | 4 | 1 | 3 | 0 | 8:4 | 6 |
| რიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| აუსტრია | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 6 |
| ლინცერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| რაპიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| ალტახი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| პაშინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ტიროლი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | 2 |

## პოლონეთი

### პირველი ლიგა. I ტური

გროცლინი — რუხი 1:4; ზაგლებე — ვიძევი 2:1; იაგელონია — პოლონია 2:1; ლეხი — სოსნოვეცი 4:2; ოდრა — ლოძი 2:2; ბელხატუვი — კორონა 2:0; ლეგია — კრაკოვია 1:0


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩიანი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge